საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის

ეთიკის კომისიის

გადაწყვეტილება

დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების თაობაზე

მესამე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

ქეთევან უტიაშვილი – კოლეგიის თავმჯდომარე

თორნიკე ბაქრაძე – კოლეგიის წევრი

კონსტანტინე გელაშვილი – კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი: ე. მ., წარმომადგენელი ქ. ხ.

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 29.04.2020

საჩივრის რეგისტრაციის №036/20

საჩივარი შემოტანილია: ადვოკატ ი. კ.-ის მიმართ, სიითი /№/

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ ი. კ.-ისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება

I აღწერილობითი ნაწილი:

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

1.1 2020 წლის 29 აპრილს სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა ე. მ.-ის წარმომადგენელმა ქ. ხ.-მა და მოითხოვა ადვოკატ ი. კ.-ისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება. წარმომადგენელმა დისციპლინური წარმოების საპროცესო ეტაპზე საქმის ზეპირ განხილვაში მონაწილეობა მიიღო 2020 წლის 11 აგვისტოს, ასევე მონაწილეობდა განხილვის ეტაპზე 24 მარტს, 14 და 21 ივლისს წარმართულ სხდომებში.

1.2 საჩივრის ავტორის წარმომადგენლის განმარტებით, 2019 წლის 10 ივლისს დააკავეს მისი მეუღლე, ე. მ.. მან სამართლებრივი დახმარებისთვის იმავე დღეს მიმართა ადვოკატ ი. კ.-ს. ქ. ხ.-მა ადვოკატი მიიყვანა განყოფილებაში, რა დროსაც მისი მეუღლე საგამოძიებო ექსპერიმენტზე იყო გაყვანილი. გარეთ ლოდინის დროს მოწმე ლ. ბ.-მა, რომელიც დაკავების დროს ერეკლე მანგოშვილთან ერთად იმყოფებოდა, მოუყვა ადვოკატს თუ როგორ მივიდა პატრული მათთან ჯარიმის გამოსაწერად ორთაჭალაში დღის 5 საათზე, ამის შემდეგ პატრულმა დაურეკა განყოფილებას. მივიდა რამდენიმე შკოდა, ჩამოართვეს მას და ე. მ.-ს ტელეფონები, გაჩხრიკეს (ოქმი არ არის საქმეში) და გადაიყვანეს განყოფილებაში. როდესაც ე. მ. მიიყვანეს დროებითი დაკავების განყოფილებაში, ადვოკატი შევიდა მასთან და დაკავების ოქმს მოაწერა ხელი, მაშინ

როდესაც დაკავების ოქმი სხვაგან, სხვა დროს შედგა და ადვოკატი ბრალდებულის დაკავებას არ დასწრებია. ლ. ბ.-მა ქ. ხ.ს და ადვოკატის თანდასწრებით მოყვა როგორ დააკავეს ე. მ. 2019 წლის 10 ივლისს 5 სთ-ზე ორთაჭალაში, საქმეში კი ოქმის თანახმად, დაკავება გაფორმებულია 2019 წლის 11 ივლისს 1 სთ-ზე (რაზეც ადვოკატმა ხელი მოაწერა). ადვოკატს ამ თემაზე არ უსაუბრია არც განყოფილებაში, არც სასამართლო პროცესებზე და არც დასკვნით სიტყვაში.

1.3 საჩივრის ავტორის განმარტებით, ბრალდებულმა ე. მ.-მა ადვოკატს უთხრა, რომ მისგან აღიარებითი ჩვენება მიიღეს ფსიქოლოგიური ზეწოლით. ადვოკატმა არათუ ისაუბრა ამ თემაზე გამოძიებაში ან სასამართლო სხდომებზე, არამედ დასკვნით სიტყვაში ადვოკატმა საერთოდ უარყო ბრალდებულთან საუბარი განყოფილებაში, რითიც მან ფაქტიურად მოსამართლეს უთხრა, რომ ბრალდებული ცრუობდა.

1.4 ქ. ხ. და ი. კ. ერთად მივიდნენ შემთხვევის ადგილის დასათვალიერებელად, რა დროსაც ადვოკატმა გამოკითხა მეზობელი, რომლის ფანჯარასთანაც იდგა მანქანა, საიდანაც დაიკარგა თანხა. როგორც აღმოჩნდა, გამოკითხვის ოქმი ადვოკატს საქმეში არ ჩაუდია.

1.5 წარმომადგენლის განმარტებით, ვინაიდან დაზარალებული კაზინოს ვიპ კლიენტია, იგი თანხის დაკარგვის დღეს იმყოფებოდა კაზინოში (რაც ქ. ხ.-მა და ადვოკატმა ერთად გაარკვიეს), მაგრამ ადვოკატმა არ დააყენა შუამდგომლობა სასამართლოში კაზინოდან დაზარალებულის შეხვედრებისა და კამერების ჩანაწერების ამოღების შესახებ.

1.6 დაზარალებულმა გამოძიებაში არ წარმოადგინა ინფორმაცია თანხის წარმომავლობაზე, რაზეც ადვოკატმა იზა კალატოშვილმაც არ გაამახვილა ყურადღება მიუხედავად იმისა, რომ არსებითი საკითხი იყო. მეორე ადვოკატის, ე. ს.-ის, მოთხოვნის შემდეგ (რომელიც საქმეში სასამართლოში საქმის არსებითი განხილვის დროს ჩაერთო) დაზარალებულმა წარმოადგინა დოკუმენტი თანხის გადმორიცხვაზე, რისი ავთენტურობა კითხვის ნიშნის ქვეშ დადგა, ვინაიდან გამოუვალ მდგომარეობაში ჩაყენებით იძულებული გახდა წარმოედგინა ეს ინფორმაცია. დაზარალებულის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტის ნამდვილობას ქ. ხ. სადავოდ ხდიდა. დაცვის მხარემ საქმისწარმოების შემჭიდროებული ვადების გამო ინფორმაციის გადამოწმება ვერ შეძლო.

1.7 ადვოკატთან საუბრისას წარმომადგენელს გაუჩნდა განცდა, რომ იგი იცნობდა დაზარალებულს, რ. ბ.-ს, რაც ადვოკატმა უარყო, თუმცა საქმის სასამართლო წესით განხილვისას დაზარალებულმა განაცხადა, რომ კარგად იცნობდა ადვოკატს.

1.8 წარმომადგენელს ასევე პრეტენზია აქვს ადვოკატის მიერ წერილობით მტკიცებულებათა ნაწილის უდავოდ ცნობის გამო, ვინაიდან ბრალდებულს არ სურდა საპროცესო შეთანხმება, საქმე არსებითად იხილებოდა და კლიენტთან ადვოკატს არ შეუთანხმებია წერილობით მტკიცებულებათა ნაწილის უდავოდ ცნობა.

1.9 წარმომადგენელი განმარტავს, რომ საქმის გამოძიების ეტაპზე, როდესაც ბრალდებულს ყველაზე მეტად ესაჭიროებოდა კვალიფიციური კონსულტაცია და მომსახურება, ისევე როგორც, საქმის არსებითი განხილვისას, ადვოკატმა ვერ შეძლო კვალიფიციურად მომსახურებოდა კლიენტს და მისი ჩართულობა სისხლის სამართლის საქმეში არსებითი დაცვის

ნაცვლად, ფორმალურ ხასიათს ატარებდა. აღნიშნული კიდევ ერთხელ დასტურდება თავად ადვოკატის განმარტებით, რაც წერილობით წარუდგინა ეთიკის კომისიას.

1.10 ადვოკატ ი. კ.-ის 2021 წლის 25 მარტის კითხვებზე წერილობით პასუხებში ე. მ.-მა ამავე წლის 6 აპრილს განმარტა, რომ მას სჭირდებოდა კვალიფიციური საადვოკატო მომსახურება, რადგან თანახმა არ იყო საპროცესო შეთანხმებით საქმის დასრულებაზე და სურდა საქმის არსებითი განხილვა. მან თანხმობა განაცხადა სასჯელაღსრულების N8 დაწესებულებიდან დისტანციურად მიეღო მონაწილეობა ეთიკის კომისიის მიერ საქმის ზეპირ განხილვაში. სასჯელაღსრულების N8 დაწესებულებამ ორჯერ უზრუნველყო ე. მ.-ის ჩართულობა საქმის ზეპირ განხილვაში, რომელიც დისტანციური ფორმით, პროგრამა zoom-ის გამოყენებით წარიმართა.

1.11 2021 წლის 14 ივლისს განხილვის სხდომაში ე. მ.-მა განმარტა, რომ იგი ადვოკატ ი. კ.-ს პირველად 2019 წლის 11 ივლისს შეხვდა, როდესაც იგი მიაბრუნეს პოლიციის განყოფილებაში. ი. კ. ე. მ.-ს გაეცნო, როგორც მისი ადვოკატი, რომელიც დაკავებულის მეუღლემ დაიქირავა. ადვოკატმა ე. მ.-ს გარკვეული პირველადი კონსულტაცია გაუწია, გამოკითხა ჯანმრთელობის მდგომარეობა, ხომ არ აწამეს დაკავებისას. ადვოკატს დაკავებულთან საპროცესო მოქმედებებზე არ უსაუბრია, იმ ეტაპზე პოლიციაში უბრალოდ დაფიქსირდა, რომ ე. მ.-ს ადვოკატი ჰყავდა და საჩივრის ავტორმა როგორც მოგვიანებით სასამართლო განხილვისას გაარკვია, ადვოკატმა ხელი მოაწერა მისი დაკავების ოქმს მაშინ, როდესაც მის დაკავებას არ დასწრებია და ოქმში არასწორად იყო ასახული დაკავების დროც და ადგილიც. ე. მ.-ს არ უნახავს არც დაკავების ოქმი, არც ჩხრეკის ოქმი. ადვოკატის საქმეში ჩართვისას ე. მ. 5 საათის დაკავებული იყო ორთაჭალაში და შემდეგ ჩართული იყო საგამოძიებო ექსპერიმენტში. დაკავებული გამოკითხული იყო, როდესაც ადვოკატი საქმეში ჩაერთო და მიცემული ჰქონდა აღიარებითი ჩვენება. ე. მ. დააკავეს მეგობართან, ლ. ბ.-თან ერთად და მისი მხრიდან ბრალის აღიარება გამოწვეული იყო მეგობრის დაცვის ინტერესით, ამასთან მას თავიდან არ სჯეროდა, რომ ბრალდებულის სტატუსით იყო დაკავებული. ე. მ.-მა გადაწყვიტა ბრალის აღიარება და შემდეგ სხვა სტრატეგიით ბრძოლის გაგრძელება. სამართალდამცავი ორგანოების მხრიდან მომდინარე ფსიქოლოგიური ზეწოლის პირობებში მეგობრის მიმართ იმ პირობებში უკეთესი გამოსავალი ვერ ნახა. ე. მ.-ის აღიარებითი ჩვენების შემდეგ დაკავებული ლ. ბ. გაათავისუფლეს და მას საფრთხე აღარ ემუქრებოდა.

1.12 ე. მ. ადვოკატთან შეხვედრის შემდეგ წაიყვანეს მცხეთის დროებითი დაკავების იზოლატორში. ადვოკატი ი. კ. კლიენტს შეხვდა სუნის ექსპერტიზის ჩატარების შემდეგ გამომძიებელთან ერთად, როდესაც ბრალი წაუყენეს. იმ ეტაპზე ადვოკატმა ერეკლეს გარკვეული სამართლებრივი საკითხები აუხსნა, რას ნიშნავდა ბრალის წაყენება, რა პოზიციის არჩევა სურდა და ე. მ.-მა დააფიქსირა რომ ბრალს არ აღიარებდა და სურდა საქმის არსებითად განხილვა. იმ ეტაპზე ე. მ.-ს სურდა მიცემული აღიარებითი ჩვენების ცვლილება და ამაში სთხოვა ადვოკატს დახმარება. ადვოკატმა აუხსნა როგორ უნდა შეეცვალა ტექსტი.

1.13 გლდანის სასჯელაღსრულების დაწესებულებაში ე. მ.-მა ადვოკატს დეტალურად აუხსნა რა ფსიქოლოგიური ზეწოლა იყო მასზე დაკავებისას. ადვოკატმა გააგრძელა სასამართლოში მისი დაცვა, თუმცა არსებით მოქმედებებს ახორციელებდა მეორე ადვოკატი - ე. ს.. ე. მ. გამოთქვამს ეჭვს, რომ ადვოკატი მოქმედებდა დაზარალებულის ინტერესების გავლენით. ე. მ.-ის

განცხადებით, შეხვედრისას ადვოკატი ცდილობდა ნდობის მოპოვებას, ისეთ თემებზე ესაუბრებოდა, თითქოს ცდილობდა ზოგადად გაერკვია რას აპირებდა და შემდეგ დაზარალებული მხარისთვის მიეწოდებინა ინფორმაცია, თუმცა ამის დადასტურება ე. მ.-ს ცხადი მტკიცებულებებით არ შეეძლო.

1.14 ე. მ.-ს ბრალდების მხარემ შესთავაზა საპროცესო შეთანხმება. ადვოკატი ი. კ.ც ცდილობდა დაეთანხმებინა ერეკლე მენგოშვილი საპროცესო შეთანხმებაზე, თუმცა ე. მ.-მა ადვოკატს უარი უთხრა მოცემული სტრატეგიით საქმის წარმართვაზე. ე. მ.-ს საპროცესო შეთანხმება მეორე ადვოკატმაც შესთავაზა, მაგრამ მასაც უარი უთხრა ამ სტრატეგიით საქმის გაგრძელებაზე. ბრალდებული ე. მ. ადვოკატ ი. კ.-ს სთხოვდა მის დასაცავად კონკრეტული მოქმედებების შესრულებას: 1. შიო მღვიმელის ქუჩიდან კამერების ჩანაწერების ამოღებას, რაც ადვოკატმა არ შეასრულა. 2. პოტენციური მოწმის გამოკითხვას, რომელიც იმყოფებოდა ავტომობილის სიახლოვეს სახლში და აცხადებდა, რომ სადავო ფაქტისას ეღვიძა და გაიგებდა ავტომობილის ფანჯრის გატეხვას. იგი მზად იყო მოწმის სტატუსით ჩართულიყო სისხლის სამართლის საქმეში. ადვოკატმა მოცემული პოტენციური მოწმე გამოკითხვა, შეადგინა გამოკითხვის ოქმი, მაგრამ მოცემული მასალა არ დაურთო საქმეს და არ გაუცვლია ბრალდების მხარესთან მტკიცებულებების გაცვლისას; 3. კაზინო აჭარის ვიდეოჩანაწერების ამოღება, რაც ადვოკატმა არ შეასრულა. ე. მ.-ის განმარტებით, ადვოკატ ი. კ.-ს მისთვის არ უჩვენებია დოკუმენტი, რომ ვინმეს მიმართა და მასალა ვერ მიიღო ან არ აუხსნია, რომ მის მიერ მოთხოვნილი მოქმედებების შესრულება ადვოკატის უფლებამოსილებას ცდებოდა.

1.15 ე. მ.-ის განმარტებით, ადვოკატი ი. კ. საშუალოდ კვირაში სამჯერ შედიოდა კლიენტთან შეხვედრაზე, მეორე ადვოკატის ჩართვის შემდეგ ამ სიხშირით აღარ ნახულობდა კლიენტს. ადვოკატ ე. ს.-ის საქმეში ჩართვის შემდეგ ადვოკატი ი. კ. სისხლის სამართლის საქმეში დარჩა, მაგრამ მისი დაცვა ფორმალურ ხასიათს ატარებდა. ხშირად ადვოკატი ცდილობდა თავად კლიენტისგან მიეღო ინფორმაცია მეორე ადვოკატის მიერ შესრულებული მოქმედებების შესახებ.

1.16 ე. მ. ასევე განმარტავს, რომ ადვოკატი ი. კ. ერეოდა კლიენტისა და მისი მეუღლის ურთიერთობაში და ცდილობდა ჰქონოდათ კონფლიქტი, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ქსენია ხუბულრმა მოითხოვა ადვოკატ ი. კ.-ის საქმიდან აცილება. ადვოკატმა ი. კ.-მა თავად გააგრძელა კლიენტის საადვოკატო მომსახურება და კლიენტს სთხოვდა მას დაეყენებინა მისთვის აცილება, რადგან მის მეუღლესთან კომუნიკაცია უჭირდა.

1.17 2021 წლის 21 ივლისს ე. მ.-მა მონაწილეობა მიიღო განხილვის სხდომაში და ჩაერთო დისციპლინურ საქმეში მოწმის სტატუსით მონაწილე ადვოკატ ე. ს.-ის გამოკითხვაში, რომელიც ადვოკატ ი. კ.-ის შუამდგომლობის საფუძველზე გამოიკითხა.

2. ადვოკატის პოზიცია:

1.18 ადვოკატმა ი. კ.-მა 2020 წლის 16 ივნისს ეთიკის კომისიაში წარმოადგინა წერილობითი განმარტება ე. მ.-ის საჩივარზე და 15 ოქტომბერს დისტანციურად მიიღო მონაწილეობა საპროცესო წესით წარმართულ საქმის ზეპირ განხილვაში. ადვოკატი ასევე მონაწილეობდა განხილვის ეტაპზე 24 მარტს, რომელიც მისი შუამდგომლობების დაკმაყოფილების შემდეგ გადადო კოლეგიამ. 14 და 21 ივლისს წარმართულ განხილვის სხდომებში ადვოკატმა მონაწილეობა არ მიიღო.

2.1 ადვოკატის განმარტებით, მან კეთილსინდისიერად დაიცვა კლიენტის, ე. მ.-ის, ინტერესები. ადვოკატი აღნიშნავს, რომ ურთიერთობის დაწყებისას კარგ დამოკიდებულებაში იყო კლიენტის მეუღლე მასთან, თუმცა მოგვიანებით დამოკიდებულება შეეცვალა. ერთ დღეს ქ. ხ.-მა ე. მ.-ს სასჯელაღსრულების დაწესებულებაში გაუგზავნა წერილი, რომ ადვოკატი საქმისთვის ჩამოეშორებინა. აღნიშნულზე ბრალდებულმა განაცხადა უარი. კლიენტმა ადვოკატს სთხოვა მისი დაცვა არ შეეწყვიტა და მომსახურების საზღაურს საქმის დამთავრების შემდეგ გადაუხდიდა. ადვოკატი დათანხმდა და მიუხედავად მუდმივი ფსიქოლოგიური ზეწოლისა ქ. ხ.ს მხრიდან და მასთან გართულებული კომუნიკაციისა, განაგრძო კლიენტის დაცვა.

2.2 ე. მ.-ის დაცვიდან ერთი კვირა არ იყო გასული, რომ ქ. ხ.-მა საქმეში ახალი ადვოკატი, ე. ს. ჩართო. საქმეს უძღვებოდა ადვოკატი ე. ს., ხოლო ადვოკატი ი. კ. ეხმარებოდა კოლეგას. ადვოკატმა ე. ს.-მ ორდერი მხოლოდ წინასასამართლო ეტაპზე წარუდგინა სასამართლოს, მაგრამ საგამოძიებო მოქმედებები და დაცვის სტრატეგიის განსაზღვრა მისი კოორდინაციით ხდებოდა. აღნიშნულს ადასტურებს მოწმეების გამოკითხვის ოქმები, რომლებიც მის ოფისში ხორციელდებოდა წინასასამართლომდე სხდომამდე.

2.3 ადვოკატის განმარტებით, ქ. ხ.-მა და ე. მ.-მა სასჯელაღსრულების დაწესებულებაში სექტემბერში მოაწერეს ხელი და ქ. ხ. მოწმის სახით დაიკითხა სასამართლოში. ამ მიზეზით სხვა სხდომებს ის ვერ დაესწრებოდა, შესაბამისად სინამდვილეს არ შეესაბამება საჩივარში მითითებული გარემოება, რომ დაზარალებულმა ისაუბრა ის, რაც ქ. ხ.-მა მიუთითა. ეს, ისევე, როგორც ე. მ.-ის წარმომადგენლის სხვა არგუმენტები არის სიცრუე.

2.4 სექტემბერში ქ. ხ.-მა ადვოკატს ტელეფონზე დაუტოვა მოკლე ტექსტური შეტყობინება, სადაც ბოდიშს უხდიდა ყველაფრისთვის, რაც გაუკეთა და რისი გადატანაც მოუხდა მის გამო. ამის შემდეგ კი ქ. ხ.-მა საჩივრით მიმართა ეთიკის კომისიას.

2.5 2020 წლის 15 ოქტომბერს ადვოკატმა იზა კალატოშვილმა ეთიკის კომისიის სხდომაზე განმარტა, რომ მისი შეფასებით, ე. მ.-ის წარმომადგენელი პრეტენზიას აყენებს შედეგიდან გამომდინარე, რადგან ე. მ.-ის მიმართ დადგა გამამტყუნებელი განაჩენი.

2.6 ადვოკატის განმარტებით, ადვოკატ ე. ს.-ის საქმეში ჩართვის შემდეგ გააგრძელა ე. მ.-ის დაცვა, თუმცა არსებით გადაწყვეტილებებს თავად არ იღებდა, ვინაიდან ადვოკატ ე. ს.-ს ჰქონდა მსგავს საქმეებზე მუშაობის მეტი გამოცდილება. ადვოკატმა საქმეში დარჩენა გადაწყვიტა, ვინაიდან გამოძიების ეტაპზე დაცვისთვის 500 ლარი ჰქონდა აღებული, ამასთან კლიენტს, ე. მ.-ს, ჰქონდა სურვილი გაეგრძელებინა მისი დაცვა.

2.7 ადვოკატის განმარტებით, როდესაც დროებითი დაკავების განყოფილებაში მივიდა, მისი დაცვის ქვეშ მყოფი, ე. მ. გაყვანილი იყო საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების ადგილას და ეს საგამოძიებო მოქმედებები დასრულდა განყოფილებაში. საქმეში ჩართვისას მას უთხრეს, რომ ე. მ. დააკავეს, მიაწოდეს დაკავების ოქმი, დაკავებულებს აღიარებითი ჩვენებები უკვე მიცემული ჰქონდა, ე. მ. თავად იყო გასული შემთხვევის ადგილას, ნაჩვენები ჰქონდა ადგილი, განმარტება ჰქონდა მიცემული. შესაბამისად, ადვოკატმა მოაწერა ხელი დაკავების ოქმს. ადვოკატი აღნიშნავს, რომ იმ მომენტში კლიენტს არ ჰქონია პრეტენზია რაიმე დარღვევის გამო. თუ მას პრეტენზია ჰქონდა, შეეძლო საგამოძიებო მოქმედებისთვის მიემართა. ის ადვოკატი იყო და მოაწერა ხელი დაკავების ოქმს. დაცვის ქვეშ მყოფი პირის დაკავებისას, სამართალდამცავი პირები ადვოკატებს როგორც წესი აძლევენ შესაბამის საბუთებს, რასაც ადვოკატები ხელს აწერენ.

2.8 ადვოკატის განმარტებით, იგი ფაქტიურად საქმიდან ჩამოაშორეს, ძირითადად მხოლოდ კლიენტთან ჰქონდა კომუნიკაცია, საქმეს აწარმოებდა ადვოკატი ე. ს. და თავად მის დავალებებს ასრულებდა.

2.9 ადვოკატის განმარტებით, კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე არ ისაუბრებდა რა რჩევები მისცა კლიენტს, როგორ განუმარტა რა შეიძლებოდა ყოფილიყო საქმის დადებითი და უარყოფითი შედეგები. ადვოკატის შეფასებით, საქმეზე შედეგი მოსამართლის გადაწყვეტილებაზე იყო დამოკიდებული. ე. მ. მზად იყო ყველა შედეგისთვის, მათ შორის გამამტყუნებელი განაჩენისთვის. მას არაერთხელ ჰქონია შეხება სისხლისსამართლებრივ წარმოებასთან.

2.10 ადვოკატმა ი. კ.-მა ვერ მიუთითა კონკრეტულად რომელ საგამოძიებო მოქმედებებში მიიღო მონაწილეობა და განმარტა, რომ გარკვეული მოქმედებები განახორციელა კლიენტის სასარგებლოდ და იმუშავა საქმეზე კოლეგასთან ერთად. მან საქმის მასალები სრულად გადასცა საქმეში დამატებით ჩართულ ადვოკატს და ახალმა ადვოკატმა რაც საჭიროდ მიიჩნია, ის მასალა გამოიყენა საქმისწარმოებაში.

2.11 ადვოკატმა ი. კ.-მა 2021 წლის 24 მარტს გამართულ სხდომაზე დააყენა სხდომის გადადების შუამდგომლობა ე. მ.-ის პროცესში დისტანციურად ჩართვის მოთხოვნით, ხოლო თუ მოცემული ფორმატით მისი მონაწილეობა შეუძლებელი იქნებოდა ითხოვა დრო მასთან შეკითხვების გასაგზავნად, ვინაიდან საჩივრიდან გამომდინარე სჭირდებოდა კლიენტისგან მიღებული კონფიდენციალური ინფორმაციის გამოყენება და სურდა მანამდე კლიენტის პოზიციის დაზუსტება. ადვოკატმა 2021 წლის 25 ნოემბერს ე. მ.-ისთვის გასაგზავნად ეთიკის კომისიაში წარმოადგინა კითხვარი შემდეგი შეკითხვებით: ,,1) გამოგიგზავნა თუ არა ქ. ხ.-მა ციხეზე წერილი სადაც ეწერა, რომ უარი გეთქვა ი. კ.-ის საადვოკატო მომსახურეობაზე და საქმე გაეგრძელებინა ე. ს.-ს? 2) დათანხმდი თუ არა შენ ქ. ხ.ს იმ მოთხოვნას, რომ ე. ს.-ს შენ საქმეზე ემუშავა მისი შემუშავებული სტრატეგიის მიხედვით? 3) დავრჩი თუ არა მე საქმეში, მხოლოდ იმიტომ, რომ შენ მთხოვე არ მიმეტოვებინე მიუხედავად იმისა, რომ ქ. ხ.ს მხრიდან სისტემატურად განვიცდიდი ფსიქოლოგიურ ზეწოლას? 4) შემოვდიოდი თუ არა მე შენთან სისტემატიურად პაემნებზე და გაწვდიდი ყველა ინფორმაციას საქმესთან მიმართებაში? 5) გთხოვე თუ არა, რომ ჩამოგეშორებინე საქმიდან, რადგან ვეღარ ვუძლებდი ქ. ხ.ს დამცირებებს?

6) გინახივარ თუ არა აღელვებული და ატირებული იმ საქციელების გამო, რასაც ქ. ხ. ჩადიოდა ჩემს მიმართ? 7) მიუხედავად ქ. ხ.ს დამოკიდებულებისა ჩემს მიმართ, ვიდექი თუ არა შენს გვერდით უანგაროდ? 8) გაქვს თუ არა რაიმე პრეტენზიები ჩემს მიმართ, როგორც ადვოკატის მაშინ როდესაც ვიცავდი შენს ინტერესებს? (პრეტენზიების არსებობის შემთხვევაში, გააკეთე განმარტება წერილობითი).''

2.12 2021 წლის 14 ივლისს ადვოკატი ვერ დაესწრო განხილვის სხდომას, ვინაიდან მისი განმარტებით ასრულებდა პროფესიულ საქმიანობას. ადვოკატს არ მოუმართავს ეთიკის კომისიისთვის სხდომის გადადების შუამდგომლობით და მან ითხოვა მისი შეკითხვები, რომელიც ელ. ფოსტით გამოუგზავნა ეთიკის კომისიას, თავად კომისიას გაეჟღერებინა მომჩივან მხარესთან.

2.13 ადვოკატმა ი. კ.-მა 2021 წლის 21 ივლისს გამართულ მესამე განხილვის სხდომაში ვერ მიიღო მონაწილეობა. ადვოკატის განმარტებით, პროფესიული საქმიანობის განხორციელების გამო და ითხოვა გადაწყვეტილების მიღებისას კომისიას მისი წერილობითი პოზიციით ეხელმძღვანელა, რომელიც 18 ივლისს ელ. ფოსტით მიაწოდა განხილვის კოლეგიას. მოცემული განმარტებით, ქ. ხ. დაუკავშირდა ე. მ.-ის დაკავებისას და სთხოვა მხოლოდ საქმეზე ინფორმაციის მისაღებად შეხვედროდა დაკავებულს და თუ დაკავებული გადაწყვეტდა, შემდეგ მოხდებოდა მისი დაქირავება ადვოკატის სტატუსით. ქ. ხ.-მა ადვოკატს ძალიან გვიან მიაკითხა ლ. ბ.-თან ერთად და ადვოკატმაც გადაწყვიტა დახმარება. პოლიციაში მისვლისას ადვოკატს აცნობეს, რომ ე. მ.-ს მიცემული ჰქონდა აღიარებითი ჩვენება, გასული იყო საგამოძიებო ექსპერიმენტში ნებაყოფლობით მონაწილეობის მისაღებად და ბრუნდებოდა. რამდენიმე წუთში მიიყვანეს ე. მ. პოლიციის განყოფილებაში, სადაც გააცნეს დაკავების ოქმი და ვინაიდან ოქმზე ე. მ.-ს შენიშვნა არ გამოუთქვამს, ადვოკატმა ი. კ.-მა ოქმს ხელი მოაწერა, რომ ესწრებოდა დაკავების ოქმის გაცნობას. ე. მ.-ს ადვოკატი ცალკე გაესაუბრა, სადაც დაკავებულმა განმარტა, რომ მან გამოძიებასთან ითანამშრომლა და ყველაფერი მოგვარებული ჰქონდა. ადვოკატმა ურჩია დაკავებულს დუმილის უფლება გამოეყენებინა. ამის შემდეგ ე. მ.-ის დაკავება დაასრულეს. ადვოკატმა ქ. ხ.-ს აუხსნა, რომ საქმე სერიოზულად იყო. ადვოკატი სახლში წავიდა დასასვენებელად, ვინაიდან მეორე დღეს ჩანიშნული იყო ექსპერტიზა და მანამდე კლიენტი უნდა ენახა. მეორე დღეს ადვოკატი შეხვდა დაცვის ქვეშ მყოფს და გააფრთხილა, რომ კვლავ დუმილის უფლებით ესარგებლა. ადვოკატი უთითებს, მისი მხრიდან საპროცესო შეთანხმებაზე საუბარი არასდროს ყოფილა. ე. მ.-ისთვის აღკვეთის ღონისძიების შეფარდების შემდეგ, ადვოკატი ი. კ. სხვა კლიენტების საქმეების გამო ბათუმში გაემგზავრა. ამ დროს მას დაუკავშირდა ქ. ხ. და აცნობა, რომ აიყვანეს ახალი ადვოკატი და საქმის მასალები მისთვის უნდა გადაეცა. ამ პერიოდამდე ი. კ.-ს რამდენიმე საპროცესო მოქმედება შესრულებული ჰქონდა. თბილისში დაბრუნებისას ადვოკატმა საქმის მასალები გადასცა კოლეგას - ადვოკატ ე. ს.-ს.

2.14 ადვოკატის წერილობითი განმარტებით, ქ. ხ.-ს სურვილს წარმოადგენდა ე. მ.-ს უარი ეთქვა მის საადვოკატო მომსახურებაზე, თუმცა ე. მ.-მა ადვოკატს აცილება არ დაუყენა და სთხოვა საქმეში დარჩენილიყო. ახალი ადვოკატის სტრატეგიით ქ. ხ. გამოიკითხა, როგორც მოწმე და ამის გამო იგი ვეღარ ესწრებოდა სასამართლო სხდომებს, თუმცა აქტიურად იყო ჩართული საქმისწარმოებაში.

2.15 ადვოკატი უარყოფს სისხლის სამართლის საქმეში დაზარალებულთან არსებულ ნაცნობობას და აცხადებს რომ დაზარალებული პირველად სწორედ სასამართლო განხილვისას ნახა. მის ცრუ ჩვენებებზე საჩივრებიც დაწერა.

3. მოწმის, ადვოკატ ე. ს.-ის განმარტება:

3.1 მოწმის განმარტებით, როდესაც იგი ე. მ.-ის საქმეში ჩაერთო საქმე მიმდინარეობდა გამოძიების ეტაპზე და იმ პერიოდში საქმეზე ე. მ.-ის დაცვას ახორციელებდა ადვოკატი იზა კალატაზოშვილი. მის ჩართვამდე საქმეში განხორციელდა შემდეგი საგამოძიებო მოქმდებები: დააკავეს ე. მ., შეუფარდეს აღკვეთის ღონისძიება. ე. მ.-ს პრეტენზია გააჩნდა მისი დაკავებისას მისი უფლებების დარღვევის თაობაზე, კერძოდ მას არ მისცეს შესაძლებლობა დაკავებისას ესარგებლა ადვოკატის მომსახურებით, რის შესახებაც სასამართლო განხილვის ეტაპზეც გაამახვილა დაცვის მხარემ ყურადღება. ადვოკატს ხელი მოაწერინეს დაკავების ოქმზე უკვე განყოფილებაში მოგვიანებით როდესაც ე. მ. საგამოძიებო ექსპერიმენტის შემდეგ მიიყვანეს განყოფილებაში. როდესაც ე. მ.-მა გარკვეული მიზეზის გამო მისცა აღიარებითი ჩვენება, იგი გაიყვანეს საგამოძიებო ექსპერიმენტის ჩასატარებლად და შემდეგ მოხდა ადვოკატ იზა კალატოშვილის საქმეში ჩართვა. ოქმზე ხელმოწერა დაადასტურა გამომძიებელმაც.

3.2 მოწმის განმარტებით, ე. მ.-მა მისცა დაკავებისას აღიარებითი ჩვენება, ვინაიდან იგი დააკავეს მეგობართან ერთად და თუ აღიარებით ჩვენებას არ მისცემდა, მასთან მყოფ პიროვნებასაც მასთან ერთად დააკავებდნენ. ერეკლემ აღიარებითი ჩვენება მისცა იმ მიზნობრივი კავშირის გამო, რომ გაენთავისუფლებინათ მისი მეგობარი. აღნიშნულზე მოწმემაც მისცა ჩვენება სასამართლო განხილვისას. მოწმის განმარტებით, ის არ ფლობს ინფორმაციას რა იცოდა ადვოკატმა ი. კ.-მა სისხლის სამართლის საქმეზე ჩართვისას.

3.3 მოწმის განმარტებით, იგი ოთხჯერ შეხვდა კლიენტს მასთან ე. მ.-ს ადვოკატ ი. კ.-ის მიმართ არსებულ პრეტენზიებზე არ უსაუბრია.

3.4 მოწმის განმარტებით, ადვოკატი ი. კ. არსებითად ახორციელებდა საქმეზე საადვოკატო საქმიანობას და მისი ჩართულობა საქმეში არ ყოფილა ფორმალური. ადვოკატმა წარმოების ყველა ეტაპზე მიიღო მონაწილეობა პირველი ინსტანციის სასამართლოში განხილვის დასრულებამდე.

3.5 მოწმის განმარტებით, ადვოკატი ი. კ. დამოუკიდებლად იღებდა გადაწყვეტილებებს როდის და რატომ შეხვდებოდა მისი დაცვის ქვეშ მყოფს - ე. მ.-ს. მოწმის განმარტებით, ის კოორდინირებულად მუშაობდა სისხლის სამართლის საქმეზე ადვოკატ ი. კ.-თან ერთად. მოწმე არ იზიარებს ადვოკატ ი. კ.-ის პოზიციას დაკავების ოქმზე მის ხელმოწერასთან დაკავშირებით, რაც ადვოკატმა ი. კ.-მა თავისებურად განმარტა დასკვნით სიტყვაში.

4. დისციპლინური დევნის აღმძვრელი საპროცესო კოლეგიის პოზიცია

4.1 2020 წლის 30 ოქტომბერს, საპროცესო კოლეგიამ მიიღო გადაწყვეტილება ადვოკატ ი. კ.-ის მიმართ დისციპლინური დევნის აღძვრის თაობაზე.

4.2 კოლეგიის შეფასებით, ვინაიდან ადვოკატმა ი. კ.-მა ხელი მოაწერა კლიენტის, ე. მ.-ის, დაკავების ოქმს ისე, რომ აღნიშნულ საკითხზე არ მიუღია კლიენტს კონსულტაცია, ადვოკატი არ დასწრებია მის დაკავებას და ოქმის შედგენას, თუმცა დააფიქსირა ოქმზე ხელმოწერისას, რომ ესწრებოდა მოცემულ საგამოძიებო მოქმედებას; ვინაიდან ადვოკატს მიაჩნია, რომ ადვოკატები, როგორც წესი, ხელს აწერენ იმ დოკუმენტაციას, რასაც გამოძიების მწარმოებელი პირები წარუდგენენ და თუ ე. მ. არ ეთანხმებოდა დაკავების ოქმში შეტანილ ინფორმაციას, შეეძლო მიემართა შესაბამისი საგამოძიებო მოქმედებისთვის; ადვოკატის დამოკიდებულებიდან გამომდინარე კლიენტის დაცვის პროცესში მისი როლისა და ადვოკატსა და კლიენტს შორის საქმისწარმოების საკითხების განაწილების მიმართ, კერძოდ, ვინაიდან ადვოკატი არ უთითებს კლიენტის ინტერესების გათვალისწინებით დაცვის როგორი სტრატეგია შეარჩია, რა მოქმედებები განახორციელა კლიენტის საქმეზე ან როგორ შეაფასა მასთან კომუნიკაციისას კლიენტთან შესასრულებელი მოქმედებების სავარაუდო შედეგები, რადგან ადვოკატის შეფასებით გადაწყვეტილებას სასამართლო იღებს და საქმეზე შედეგი მოსამართლის გადაწყვეტილებაზეა დამოკიდებული და სხვადასხვა შესაძლო შედეგზე კლიენტს კონსულტაციას ვერ გაუწევს; ვინაიდან ადვოკატი საქმისწარმოებაში მისი ჩართულობის პარალელურად ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ ე. მ. მანამდეც ყოფილა ნასამართლევი და გარკვეული გამოცდილება ჰქონია სისხლის სამართალწარმოებაში; ადვოკატი უთითებს, რომ ახალი ადვოკატის ჩართვის შემდეგ მისი მონაწილეობა გახდა ფორმალური, ის საქმეში დარჩენით დაეთანხმა ამ ფორმალურ როლს და მისი მომსახურება ძირითადად კლიენტთან კომუნიკაციაში გამოიხატა მისი მსგავს საქმეებზე მუშაობის გამოცდილების ნაკლებობის გამო, კოლეგიას უქმნის დასაბუთებულ ვარაუდს, რომ ადვოკატმა ირაკლი მანგოშვილის დაცვისას არ გამოიყენა სისხლის სამართლის კანონმდებლობით გათვალისწინებული საშუალებები იმისთვის, რომ კლიენტს მიეღო კვალიფიციური საადვოკატო მომსახურება. ადვოკატის მიერ შესაძლოა დარღვეული ყოფილიყო ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-2 ნაწილი, ,,ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 მუხლის ,,ე'' ქვეპუნქტი, ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-5 ნაწილი და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-6 ნაწილი.

II სამოტივაციო ნაწილი

5. საქმის ფაქტები:

5.1 განხილვის კოლეგიის მიერ დადგენილია შემდეგი უდავო ფაქტები:

5.1.1 ადვოკატი ი. კ. ე. მ.-ის ადვოკატად საქმეში მისი დაკავებისთანავე ჩაერთო. 2019 წლის 11 ივლისს ი. კ.-მა წარადგინა ე. მ.-ის საქმეზე ორდერი N15, რომლის მიხედვით იგი კლიენტს დაიცავდა გამოძიებაში და სასამართლოში. დისციპლინური საქმის მასალების მიხედვით, ე. მ.-ის საქმეზე გამოძიება დაიწყო 2019 წლის 9 ივლისს სისხლის სამართლის კოდექსის 177-4ბ მუხლის საფუძველზე (ქ. თბილისი შიო მღვიმელის ქ. N15-ის მდებარე ტერიტორიაზე რ.

ბ.ს კუთვნილი ტოიოტა ქამრის ფირმის ა/მანქანიდან სახ. ნომრით JA888FO ფულადი თანხის, 33 000 აშშ დოლარის, ქურდობის ფაქტზე იხ. გამოძიების დაწყების აღრიცხვის ბარათი საქმეზე N006090719008). ადვოკატ ი. კ.-ის საქმეში ჩართვამდე ე. მ.-ს ადვოკატი არ ჰყოლია.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

მხარეთა ახსნა-განმარტებები

ადვოკატის ორდერი N15

5.1.2 გამოძიების დაწყებიდან ადვოკატ იზა კალატოშვილის საქმეში ჩართვამდე საქმეზე ე. მ. გამოიკითხა 2019 წლის 10 ივლისს 19:25-21:40 საათებში (იხ. დაზარალებულის/მოწმის გამოკითხვის ოქმი). 2019 წლის 10 ივლისს 22:15 სთ-დან 11 ივლისის 00:15 საათამდე ჩატარდა საგამოძიებო ექსპერიმენტი ე. მ.-ის მონაწილეობით (იხ. საგამოძიებო ექსპერიმენტის ოქმი). 2019 წლის 11 ივლისის ბრალდებულის დაკავების ოქმით დგინდება, რომ ე. მ. დაკავებულია 2019 წლის 11 ივლისს 00:22 სთ-დან 2019 წლის 01:04 სთ-მდე. დაკავებული მიიყვანეს შსს ძველი თბილისის სამმართველოს მე-3 განყოფილების ადმინისტრაციულ შენობაში, ქ. თბილისის რჩეულიშვილის N2, 2019 წლის 11 ივლისს 01:00 სთ-ზე. დაკავების ოქმს ხელს აწერს ადვოკატი ი. კ. და უთითებს ,,ვესწრებოდი, ადვოკატი ი. კ..“ ადვოკატი ი. კ. დაკავების ოქმის შედგენას არ დასწრებია, მან შედგენილ ოქმს მოგვიანებით მოაწერა ხელი. ადვოკატმა ხელი მოაწერა ბრალდებულის დაკავების ოქმს ისე, რომ დაკავებას არ დასწრებია და განმარტა, რომ ,,საქმეში ჩართვისას მას უთხრეს, რომ ე. მ. დააკავეს, მიაწოდეს დაკავების ოქმი, დაკავებულებს აღიარებითი ჩვენებები უკვე მიცემული ჰქონდა, ე. მ. თავად იყო გასული შემთხვევის ადგილას, ნაჩვენები ჰქონდა ადგილი, განმარტება ჰქონდა მიცემული. შესაბამისად, ადვოკატმა მოაწერა ხელი დაკავების ოქმს. ადვოკატი აღნიშნავს, რომ იმ მომენტში კლიენტს არ ჰქონია პრეტენზია რაიმე დარღვევის გამო. თუ მას პრეტენზია ჰქონდა, შეეძლო საგამოძიებო მოქმედებისთვის მიემართა. ის ადვოკატი იყო და მოაწერა ხელი დაკავების ოქმს. დაცვის ქვეშ მყოფი პირის დაკავებისას, სამართალდამცავი პირები ადვოკატებს როგორც წესი აძლევენ შესაბამის საბუთებს, რასაც ადვოკატები ხელს აწერენ.“

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

მხარეთა ახსნა-განმარტებები

2019 წლის 11 ივლისის ბრალდებულის დაკავების ოქმი

5.1.3 2019 წლის 11 ივლისს მოწმის სტატუსით გამოიკითხა კ. კ. და მოხდა მისი საცხოვრებელი სახლიდან ე. მ.-ის კუთვნილი ნივთების ამოღება (იხ. მოწმის გამოკითხვის ოქმი, ამოღების ოქმი); 2019 წლის 11 ივლისს 04:10 სთ-დან 04:55 სთ-მდე გადაუდებელი აუცილებლობის გამო ჩატარდა ჩხრეკა ე. მ.-ის დედის, ნ. ლ.-ს, საცხოვრებელ სახლში (იხ. ჩხრეკის ოქმი). ადვოკატი ამ დროს იმყოფებოდა დროებითი დაკავების განყოფილებაში კლიენტის

მეუღლესთან ერთად. გამოძიების ჩატარების მიზნით ე. მ.-მა 2019 წლის 11 ივლისის ხელწერილით დაადასტურა თანხმობა აეღოთ მისი ნერწყვის და სუნის ნიმუშები, რასაც დაეთანხმა ადვოკატი ი. კ.. ამავე დღეს მოხდა ნიმუშების აღება ადვოკატის დასწრებით (იხ. ნიმუშის აღების ოქმები). 2019 წლის 11 ივლისს გამოიკითხა მოწმის სტატუსით ბ. ი., ლ. ც., რ. კ. (იხ. გამოკითხვის ოქმი). 2019 წლის 12 ივლისს რევაზ ბაბაინი ცნობილ იქნა დაზარალებულად (იხ. დაზარალებულად ცნობის შესახებ დადგენილება). 2019 წლის 12 ივლისს ძველი თბილისის რაიონულმა პროკურატურამ მიიღო დადგენილება N-- ე. მ.-ის ბრალდების შესახებ სისხლის სამართლის კოდექსის 177-3, ბ-4, ბ მართლსაწინააღმდეგოდ სხვისი ქონების დიდი ოდენობით არაერთგზის მისაკუთრების გამო. დადგენილება ბრალდებულს გამოეცხადა 2019 წლის 12 ივლისს 15:55 სთ-ზე, რასაც ესწრებოდა ადვოკატი, როგორც ოქმზე ხელმოწერით დგინდება. 2019 წლის 12 ივლისს ე. მ. გამოიკითხა ბრალდებულის სტატუსით. ბრალდებულმა განმარტა, რომ იგი არ ეთანხმებოდა 2019 წლის 10 ივლისს მიცემულ ჩვენებას და თავს გრძნობდა უდანაშაულოდ. ასევე დაადასტურა, რომ გაეცნო ბრალს და არ ეთანხმებოდა. ბრალდებულის გამოკითხვას ესწრებოდა ადვოკატი ი. კ.. 2019 წლის 12 ივლისს ბრალდების მხარემ გადასცა დაცვის მხარეს, ადვოკატ ი. კ.-ს, შესაძლო მტკიცებულებები.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

მხარეთა ახსნა-განმარტებები
ე. მ.-ის სისხლის სამართლის საქმის მასალები

5.1.4 ადვოკატი კონკრეტულად ვერ უთითებს რა შინაარსის რჩევებს აძლევდა კლიენტს, რა საგამოძიებო მოქმედებებში მიიღო მონაწილეობა, რატომ არ შესრულდა უფლებამოსილი პირის გარკვეული მითითებები მასალების მოპოვებასთან დაკავშირებით, რა მოქმედებები განახორციელა კლიენტის დასაცავად სასამართლო განხილვისას და პროფესიული პასუხისმგებლობა გადააქვს კოლეგაზე, რომელიც სასამართლო წარმოებისას ჩაერთო საქმეში მაშინ, მაშინ, როდესაც ადვოკატი ი. კ. დარჩა საქმეში და გააგრძელა კლიენტის დაცვა განაჩენის გამოტანამდე. საქმის სასამართლო განხილვისას ადვოკატს მონაწილეობა აქვს მიღებული გარკვეულ მოქმედებებში: 2019 წლის წლის 13 ივლისს ბრალდებულის სასამართლოში პირველი წარდგენისა და აღკვეთის ღონისძიების გამოყენების განხილვისას, ე. მ.-ის ინტერესებს წარმოადგენდა ადვოკატი ი. კ.; ბრალდებული ე. მ. და ადვოკატი ი. კ. არ დაეთანხმნენ პროკურორის შუამდგომლობას, აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენების შესახებ და მოითხოვეს ბრალდებულს შეფარდებოდა გირაო 10 000 ლარის ოდენობით; სასამართლომ დააკმაყოფილა პროკურორის შუამდგომლობა; 2019 წლის 13 ივლისს ე. მ.-ის მიმართ გამოყენებულ იქნა აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა; 2019 წლის 02 აგვისტოს ადვოკატმა ი. კ.-მა მიმართა სასამართლოს შუამდგომლობით დასაშვებად ყოფილიყო ცნობილი სასამართლოში წარსადგენ მტკიცებულებათა ნუსხა, გამოკითხვის ოქმები, წერილობითი მტკიცებულებები და სასამართლოში დასაკითხ პირთა სია, რომელიც დაცვის მხარემ მოიპოვა და გაუცვალა ბრალდების მხარეს. დაცვის მხარემ მოწმის სახით

მოითხოვა შემდეგ პირთა დაკითხვა: ე. მ., რ. ბ., კ. კ., ბ. ი., ლ. ც., რ. კ., ლ. ხ. (მთავარი ექსპერტი), ლ. ჯ., დ. ც., ლ. ს., ნ. ლ., შ. კ., დ. ე., დ. ჩ., რ. კ., ა. ქ., ნ. ლ., თ. გ., ნ. ჯ., ე. გ., მ. ბ., ლ. ბ., გ. თ. (უბნის ინსპექტორ-გამომძიებელი), თ. გ. (დნმ-ის ნიმუშის ამღები), ე. ფ.(ექსპერტი-სუნის ნიმუშის ამღები), ს. გ. (ინფორმაციის გამოთხოვის დოკუმენტში), ქ. ხ., ჯ. ბ. (მანქანების გამქირავებელი), გ. ქ. (შპს --- დირექტორი), ლ. კ. (ფსიქიკური ჯანმრთელობისა და ნარკომანიის პრევენციის ცენტრის გენერალური დირექტორი), ბ. თ. (მანქანის გამომყვანი პოლიციიდან ხელწერილით), ზ. კ. (პატრულ-ინსპექტორი). შუამდგომლობას ადვოკატმა დაურთო: განცხადება თანდართული მასალებით, სასამართლოში წარსადგენი მტკიცებულებების ნუსხა, გამოკითხვის ოქმები: მოწმე ლ. ბ.-ის გამოკითხვის ოქმი, მოწმე ნ. ლ.-ს გამოკითხვის ოქმი, მოწმე ქ. ხ.-ს გამოკითხვის ოქმი. წერილობითი მტკიცებულებები: მოწმე ლ. ბ.-ის პირადობის მოწმობის ასლი, საპატრულო პოლიციის საჯარიმო ქვითარი, შპს -- -ის პასუხი ე. მ.-ის ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციის ნარკომანიის ჩანაცვლებით სპეციალურ პროგრამაში მკურნალობის შესახებ N102, შპს ფსიქიკური ჯანმრთელობისა და ნარკომანიის პრევენციის ცენტრისადმი განცხადება-მიმართვა, შპს ფსიქიკური ჯანმრთელობისა და ნარკომანიის პრევენციის ცენტრისადმი განცხადება მიმართვაზე, მოწმე ბ. თ.-ის პირადობის მოწმობის ასლი, მოწმე ნ. ლ.-ს პირადობის მოწმობის ასლი, მოწმე ქ. ხ.-ს პირადობის მოწმობის ასლი, საქართველოს ფოსტის გზავნილი - წერილი ჯ. ბ.-სთან, ჯ. ბ.-სთან გაგზავნილი წერილის ასლი, ნ. ლ.-ს განცხადება, სასამართლოში წარსადგენ მტკიცებულებათა ნუსხა, ოქმი შესაძლო მტკიცებულებათა ინფორმაციის გაცვლის შესახებ. ადვოკატმა ი. კ.-მა 2019 წლის 31 ივლისს გამოკითხა ლ. ბ., ნ. ლ., ქ. ხ..

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

მხარეთა ახსნა-განმარტებები

ე. მ.-ის სისხლის სამართლის საქმის მასალები

5.1.5 2019 წლის 08 აგვისტოს ადვოკატი ე. ს. ჩაერთო ე. მ.-ის სისხლის სამართლის საქმეში დამცველად პირველი ინსტანციის წესით განხილვისას საქმეზე გადაწყვეტილების გამოტანამდე. ადვოკატი ი. კ. კოლეგასთან ერთად მონაწილეობდა შემდეგ სასამართლო სხდომებში:

- 08 აგვისტო - როგორც დავის მხარის მტკიცებულებები, ასევე ბრალდების მხარის მტკიცებულებები დასაშვებად იქნა ცნობილი და დამტკიცდა, როგორც სადავო მტკიცებულებები (თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის მოსამართლე ლ. გ.);
- 22 აგვისტო, 30 აგვისტო, 08 ოქტომბერი, 28 ოქტომბერი, 12 ნოემბერი, 13 დეკემბერს ადვოკატები არ გამოცხადნენ პროცესზე და სხდომა გადაიდო 27 დეკემბერს, საქმის არსებითი განხილვისას სისხლის სამართლის საქმის მასალებით დგინდება, რომ ი. კ. ადვოკატ ე. ს.-სთან ერთად მონაწილეობს 2019 წლის 27 დეკემბრის სხდომაში თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო, წინასასამართლო

სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიაში, 2020 წლის 20 იანვარს, 07 თებერვალს, 21 თებერვალს, 26 თებერვალს, 27 თებერვალს, 04 მარტს.

- 2020 წლის 4 მარტს ადვოკატმა ე. ს.-მ მიმართა სასამართლოს შუამდგომლობით, რათა ლევან სამხარაულის სახელმწიფო სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროსთვის წარდეგინა სასამართლოს გ. ქ.-ის მიერ წარმოდგენილი რ. ბ.-ს საბანკო ამონაწერი დათარიღებული 25.112019 და ასევე ანგარიშიდან ამონაწერი დათარიღებული 25.11.2019 წელი, რათა დადგენილიყო ამ ორ დოკუმენტზე იყო თუ არა ხელმოწერები შესრულებული სალომე ბუცხრიკიძის მიერ. ადვოკატი ი. კ. ასევე მონაწილეობდა 11 მარტის, 20 მარტის, 26 მარტის, 27 მარტის, 01 აპრილის, 03 აპრილის, 07 აპრილის სასამართლო პროცესებში - ადვოკატმა წარმოადგინა დასკვნითი სიტყვაც. სხდომის ოქმებით დგინდება, რომ ადვოკატი ი. კ. ესწრებოდა პროცესებს, თუმცა სხდომების მიმდინარეობაში მისი კოლეგა, ადვოკატი ე. ს. იყო ჩართული.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

მხარეთა ახსნა-განმარტებები

ე. მ.-ის სისხლის სამართლის საქმის მასალები

5.1.6 სასამართლომ არ გაიზიარა დაცვის მხარის პოზიცია, რომ გამოძიების ეტაპზე ე. მ.-ის მიმართ ადგილი ჰქონდა იძულებას, რის გამოც მან აღიარა და ითანამშრომლა გამოძიებასთან. საქმის მასალებში არ იყო წარმოდგენილი რაიმე მტკიცებულება, რაც აღნიშნულ ფაქტს დაადასტურებდა, ასევე არ იყო წარმოდგენილი დაცვის მხარის რაიმე განცხადება ან საჩივარი, რომლითაც დადასტურდებოდა იძულების გასაჩივრების ფაქტი. დაცვის მხარის პოზიცია სასამართლომ დაუსაბუთებლად და არადამაჯერებლად მიიჩნია. ერთმანეთთან წინააღმდეგობაში მოვიდა ე. მ.-ისა და მოწმის ლ. ბ.-ის ჩვენებები, რადგან ბრალდებულმა აღნიშნა, რომ ლ. ბ. მას შემდეგ გაუშვეს სამართალდამცავებმა, რაც ის ექსპერტიზაზე წაიყვანეს, ხოლო ლ. ბ.-მა განმარტა, რომ იგი მაშინ გაათავისუფლეს, როცა მანგოშვილმა აღიარა დანაშაული. საქმეში არსებული საგამოძიებო მოქმედებათა ოქმების სისწორე ხელის მოწერით დაადასტურა ბრალდებულმა ე. მ.-მა და შენიშვნა მათთან დაკავშირებით არ გააჩნდა. განაჩენში ასევე მითითებულია, რომ ე. მ.-ს პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი გარემოებები არ გააჩნდა. 2020 წლის 7 აპრილს დადგა განაჩენი ე. მ.-ის მიმართ სსკ-ის 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ და მე-4 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისთვის. განაჩენის თანახმად სასამართლომ არ გაიზიარა დაცვის მხარის პოზიცია ბრალდებულის უდანაშაულობის შესახებ, ვინაიდან გამოკვლეული და არასადაოდ მიჩნეული მასალა შეიცავდა ისეთ მტკიცებულებათა ერთობლიობას, რომელიც საკმარის საფუძველს ქმნიდა მსჯავრდებისთვის.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

მხარეთა ახსნა-განმარტებები

ე. მ.-ის სისხლის სამართლის საქმის მასალები

6. შემაჯამებელი დასკვნა

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისია გაეცნო საქმის მასალებს, შეისწავლა მხარეთა ახსნა-განმარტებები და მიიჩნევს, რომ ადვოკატ ი. კ.-ის მიერ ჩადენილია დისციპლინური გადაცდომა.

7. სამართლებრივი შეფასება

7.1 განხილვის კოლეგიას მიაჩნია, რომ ადვოკატმა ი. კ.-მა ე. მ.-ის დაცვისას დაარღვია პროფესიული ქცევის შემდეგი ნორმები:

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-2 ნაწილი, რომლის მიხედვით, ,,ადვოკატმა საქმე უნდა აწარმოოს მისი კლიენტის, მისი უფლებამოსილი წარმომადგენლის ან შესაბამისი ორგანოს მიერ დანიშნული კომპეტენტური პირის მითითებით....“

,,ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის ,,ე” ქვეპუნქტი, რომლის თანახმად ,,ადვოკატი ვალდებულია შეასრულოს საპროცესო კანონმდებლობით მისთვის დაკისრებული მოვალეობები.“

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-5 ნაწილი, რომლის თანახმად ,,ადვოკატმა კვალიფიციურად და კეთილსინდისიერად უნდა მისცეს რჩევა კლიენტს და განახორციელოს წარმომადგენლობა.“

,,ადვოკატთა შესახებ” საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტი, რომლის მიხედვით ,,ადვოკატი ვალდებულია დროულად მიაწოდოს კლიენტს ყველა ინფორმაცია…, რომელიც დაკავშირებულია მისი საქმის წარმოებასთან.“

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-6 ნაწილი, რომლის მიხედვით, ,,ადვოკატმა კლიენტს მასთან შეთანხმებული წესით უნდა მიაწოდოს ინფორმაცია მასზე მინდობილი საქმის მსვლელობის ... შესახებ.“

7.2 ადვოკატი ვალდებულია, დაცვის განხორციელების პროცესში, კლიენტის ან უფლებამოსილი პირის დავალებით და მისი სახელით, შეასრულოს კლიენტის ინტერესების დასაცავად კლიენტის კანონშესაბამისი მითითებები და იმოქმედოს მასთან შეთანხმებით. საპროცესო კანონმდებლობით მინიჭებული უფლებების გამოყენება გამოძიების ეტაპზე მნიშვნელოვნად არის დაკავშირებული კლიენტისათვის ყველა კანონიერი საფუძვლის შესაქმნელად, რომ სასამართლო წარმოებისას დაცვის უფლება სრულად და ეფექტიანად განხორციელდეს.

7.3 ადვოკატის პროფესიული ეთიკური ვალდებულებაა კლიენტის საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე, ყველა კანონიერი საშუალების გამოყენებით, სცადოს დაცვის პოზიციის წარმოჩენა, კონკრეტული ფაქტები და ბრალდების არგუმენტები გახადოს სადავოდ, წარადგინოს შუამდგომლობები და მტკიცებულებები, რომლებიც კლიენტთან შეთანხმებულია და შეფასებულია მათი სამართლებრივი წონადობა. საქმესთან დაკავშირებით კლიენტის მიერ გადაწყვეტილებების მიღებას წინ უსწრებს ადვოკატისგან მიღებული კვალიფიციური რჩევები თუმცა, ამ დროსაც ძირითად გადაწყვეტილებას კერძო ავტონომიის ფარგლებში იღებს კლიენტი.

7.4 ადვოკატის პროფესიული დამოუკიდებლობა დაცულია დისციპლინურ წარმოებაშიც და ეთიკის კომისიას აქვს შეზღუდული კომპეტენცია სამართლებრივად და შინაარსობრივად არსებითად შეაფასოს ადვოკატის მიერ არჩეული დაცვის სტრატეგია და კლიენტის ინტერესების დასაცავად გამოყენებული დაცვის მეთოდები ან საშუალებები, თუმცა კომისია უფლებამოსილია ადვოკატს მოსთხოვოს განმარტება კლიენტისთვის შერჩეული სტრატეგია რატომ მიიჩნია მისი ინტერესების შესაბამისად, რა მოქმედებები განახორციელა კლიენტის სასარგებლოდ, რა რჩევები მისცა საქმის შესწავლის შედეგად ან რამდენად მოქმედებდა კლიენტთან შეთანხმებული პოზიციით. აღნიშნულ საკითხებზე ადვოკატის პროფესიული მიდგომის, განმარტებების შეფასება აძლევს კომისიას საშუალებას განსაზღვროს ადვოკატი იცავდა კლიენტს კვალიფიციურად თუ ადგილი ჰქონდა ფორმალურ დაცვას. კვალიფიციურ წარმომადგენლობად არ ჩაითვლება, თუ ადვოკატი სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებით, კლიენტის ინტერესებს წარმოადგენს, მაგრამ არ ახორციელებს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებულ მოქმედებებს, როგორიცაა საგამოძიებო მოქმედებისას დარღვევებზე რეაგირება, შუამდგომლობათა დაყენება, მტკიცებულებათა მოპოვება და წარდგენის წესის დაცვა.

7.5 ეთიკის კომისიამ 2011 წლის 25 ივლისის გადაწყვეტილებაში დისციპლინურ საქმეზე 096/11 დაადგინა: ,,სისხლის სამართლის პროცესის მონაწილე ადვოკატებმა პროფესიული მოვალეობების შესრულებისას, დაცვის უფლება უნდა განახორციელონ კლიენტის ინტერესების გათვალისწინებით. ადვოკატს ევალება გაახმოვანოს კლიენტის პოზიცია და სათანადოდ დაიცვას მისი ინტერესები, რაც სისხლის სამართლის საქმეზე კლიენტის ინტერესების გათვალისწინებით, კანონმდებლობის ფარგლებში მოქმედებას გულისხმობს.“

7.6 ეთიკის კომისიის 2010 წლის 23 სექტემბრის გადაწყვეტილებით დისციპლინურ საქმეზე N066/10/ დადგინდა, რომ ,,საადვოკატო საქმიანობა, ადვოკატის მოვალეობები, და კლიენტის ინტერესების დაცვა ,,ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონით არ მოიცავს მხოლოდ კლიენტის ფორმალურ წარმომადგენლობას სასამართლოში. კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე ადვოკატი ვალდებულია გამოიყენოს მის დასაცავად ყველა საშუალება, რაც არ არის აკრძალული კანონით და პროფესიული ეთიკის ნორმებით, მათ შორის მოამზადოს საქმე სასამართლოზე განსახილველად და მოიპოვოს საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე მტკიცებულებანი, განახორციელოს კანონით გათვალისწინებული ქმედება ამ სახის მტკიცებულების მოპოვებისა და სასამართლოში წარდგენისათვის.“

7.7 საპროცესო კოლეგია აღნიშნავს, რომ სისხლის სამართლის პროცესი მიმდინარეობს მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპის საფუძველზე. უდანაშაულობისა და თავისუფლების პრეზუმფციის თანახმად, არავინ არის ვალდებული, ამტკიცოს თავისი უდანაშაულობა, ბრალდების მტკიცების ტვირთი ეკისრება ბრალმდებელს, მაგრამ სისხლის სამართლის პროცესში მოქმედი მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპის საფუძველზე, ადვოკატი უფლებამოსილია გამოიყენოს სისხლისსამართლებრივი კანონმდებლობით მინიჭებული უფლებები მისი დაცვის ქვეშ მყოფი პირის ინტერესების შესაბამისად. სსსკ–ის 44–ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ,,იმ გარემოებათა გამოსავლენად, რომლებიც ამართლებს ბრალდებულს ან/და ამსუბუქებს მის პასუხისმგებლობას,

ადვოკატმა დაცვის ყველა კანონიერი საშუალება და ხერხი უნდა გამოიყენოს. ადვოკატს უფლება არა აქვს, იმოქმედოს ბრალდებულის მითითებისა და ინტერესების საწინააღმდეგოდ.“

7.8 ადვოკატი ი. კ. ე. მ.-ის ადვოკატად საქმეში მისი დაკავებისთანავე ჩაერთო. 2019 წლის 11 ივლისს ი. კ.-მა წარადგინა ე. მ.-ის საქმეზე ორდერი N15, რომლის მიხედვით იგი კლიენტს დაიცავდა გამოძიებაში და სასამართლოში. დისციპლინური საქმის მასალების მიხედვით, ე. მ.-ის საქმეზე გამოძიება დაიწყო 2019 წლის 9 ივლისს სისხლის სამართლის კოდექსის 177-4ბ მუხლის საფუძველზე (ქ. თბილისი შიო მღვიმელის ქ. N15-ის მდებარე ტერიტორიაზე რ. ბ.ს კუთვნილი ტოიოტა ქამრის ფირმის ა/მანქანიდან სახ. ნომრით --- ფულადი თანხის, 33 000 აშშ დოლარის, ქურდობის ფაქტზე იხ. გამოძიების დაწყების აღრიცხვის ბარათი საქმეზე N006090719008). ადვოკატ ი. კ.-ის საქმეში ჩართვამდე ე. მ.-ს ადვოკატი არ ჰყოლია. გამოძიების დაწყებიდან ადვოკატ იზა კალატოშვილის საქმეში ჩართვამდე საქმეზე ე. მ. გამოიკითხა 2019 წლის 10 ივლისს 19:25-21:40 საათებში (იხ. დაზარალებულის/მოწმის გამოკითხვის ოქმი). 2019 წლის 10 ივლისს 22:15 სთ-დან 11 ივლისის 00:15 საათამდე ჩატარდა საგამოძიებო ექსპერიმენტი ე. მ.-ის მონაწილეობით (იხ. საგამოძიებო ექსპერიმენტის ოქმი). 2019 წლის 11 ივლისის ბრალდებულის დაკავების ოქმით დგინდება, რომ ე. მ. დაკავებულია 2019 წლის 11 ივლისს 00:22 სთ-დან 2019 წლის 01:04 სთ-მდე. დაკავებული მიიყვანეს შსს ძველი თბილისის სამმართველოს მე-3 განყოფილების ადმინისტრაციულ შენობაში, ქ. თბილისის რჩეულიშვილის N2, 2019 წლის 11 ივლისს 01:00 სთ-ზე. დაკავების ოქმს ხელს აწერს ადვოკატი ი. კ. და უთითებს ,,ვესწრებოდი, ადვოკატი ი. კ..“ 2019 წლის 11 ივლისს მოწმის სტატუსით გამოიკითხა კ. კ. და მოხდა მისი საცხოვრებელი სახლიდან ე. მ.-ის კუთვნილი ნივთების ამოღება (იხ. მოწმის გამოკითხვის ოქმი, ამოღების ოქმი); 2019 წლის 11 ივლისს 04:10 სთ-დან 04:55 სთ-მდე გადაუდებელი აუცილებლობის გამო ჩატარდა ჩხრეკა ე. მ.-ის დედის, ნ. ლ.-ს, საცხოვრებელ სახლში (იხ. ჩხრეკის ოქმი). ადვოკატი ამ დროს იმყოფებოდა დროებითი დაკავების განყოფილებაში კლიენტის მეუღლესთან ერთად. გამოძიების ჩატარების მიზნით ე. მ.-მა 2019 წლის 11 ივლისის ხელწერილით დაადასტურა თანხმობა აეღოთ მისი ნერწყვის და სუნის ნიმუშები, რასაც დაეთანხმა ადვოკატი ი. კ.. ამავე დღეს მოხდა ნიმუშების აღება ადვოკატის დასწრებით (იხ. ნიმუშის აღების ოქმები). 2019 წლის 11 ივლისს გამოიკითხა მოწმის სტატუსით ბ. ი., ლ. ც., რ. კ. (იხ. გამოკითხვის ოქმი). 2019 წლის 12 ივლისს რ. ბ. ცნობილ იქნა დაზარალებულად (იხ. დაზარალებულად ცნობის შესახებ დადგენილება). 2019 წლის 12 ივლისს ძველი თბილისის რაიონულმა პროკურატურამ მიიღო დადგენილება N0013148722 ე. მ.-ის ბრალდების შესახებ სისხლის სამართლის კოდექსის 177-3, ბ-4, ბ მართლსაწინააღმდეგოდ სხვისი ქონების დიდი ოდენობით არაერთგზის მისაკუთრების გამო. დადგენილება ბრალდებულს გამოეცხადა 2019 წლის 12 ივლისს 15:55 სთ-ზე, რასაც ესწრებოდა ადვოკატი, როგორც ოქმზე ხელმოწერით დგინდება. 2019 წლის 12 ივლისს ე. მ. გამოიკითხა ბრალდებულის სტატუსით. ბრალდებულმა განმარტა, რომ იგი არ ეთანხმებოდა 2019 წლის 10 ივლისს მიცემულ ჩვენებას და თავს გრძნობდა უდანაშაულოდ. ასევე დაადასტურა, რომ გაეცნო ბრალს და არ ეთანხმებოდა. ბრალდებულის გამოკითხვას ესწრებოდა ადვოკატი ი. კ.. 2019 წლის 12 ივლისს ბრალდების მხარემ გადასცა დაცვის მხარეს, ადვოკატ ი. კ.-ს, შესაძლო მტკიცებულებები (იხ. ოქმი შესაძლო მტკიცებულებების თაობაზე ინფორმაციის გაცვლის შესახებ).

7.9 საპროცესო კოლეგიის შეფასებით, ადვოკატ ი. კ.-ს ევალებოდა კვალიფიციური რჩევები მიეცა კლიენტისთვის ყველა იმ საგამოძიებო მოქმედებასთან დაკავშირებით, რომელშიც იგი იღებდა მონაწილეობას. ადვოკატ ი. კ.-ს პროფესიული საქმიანობა ავალდებულებს განუმარტოს კლიენტს მისი უფლებები, შეიმუშაოს საქმისწარმოების სტრატეგია გამოძიების პროცესში. ადვოკატის მიერ ეთიკის კომისიაში წარმოდგენილი განმარტებით, კოლეგიას შეექმნა დასაბუთებული ვარაუდი, რომ ადვოკატი ი. კ. სწორად ვერ აფასებს ადვოკატის პროფესიულ როლს და მოქმედებდა სუბიექტური განწყობით იმ ვარაუდით, რომ გამოძიების ეტაპზე ყველა მოქმედება კანონიერად იქნებოდა განხორციელებული, მოსამართლე კანონიერ გადაწყვეტილებას მიიღებდა, რომ მისი კლიენტი მანამდე ნასამართლევი იყო არაერთხელ და იცნობდა წარმოების საკითხებს, რაც თითქოს ამცირებდა ადვოკატის მხრიდან კონსულტაციების საჭიროებას.

7.10 სსსკ-ის 175-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, ,,დაკავების ოქმს ხელს აწერენ: თანამდებობის პირი, რომელმაც პირი დააკავა, დაკავებული და **მისი ადვოკატი (მისი ყოფნის შემთხვევაში).** ბრალდებულის პოლიციის დაწესებულებაში ან სხვა სამართალდამცავ ორგანოში მიყვანისთანავე ოქმს ხელს აწერს პოლიციის ან სხვა სამართალდამცავი ორგანოს უფლებამოსილი პირი. დაკავებულს გადაეცემა დაკავების ოქმის ასლი. თუ დაკავებისას ჩატარდა პირის პირადი ჩხრეკა, ამ საგამოძიებო მოქმედების თაობაზე ცალკე ოქმი არ დგება.“ ადვოკატმა ხელი მოაწერა ბრალდებულის დაკავების ოქმს ისე, რომ დაკავებას არ დასწრებია და განმარტა, რომ ,,საქმეში ჩართვისას მას უთხრეს, რომ ე. მ. დააკავეს, მიაწოდეს დაკავების ოქმი, დაკავებულებს აღიარებითი ჩვენებები უკვე მიცემული ჰქონდა, ე. მ. თავად იყო გასული შემთხვევის ადგილას, ნაჩვენები ჰქონდა ადგილი, განმარტება ჰქონდა მიცემული. შესაბამისად, ადვოკატმა მოაწერა ხელი დაკავების ოქმს. ადვოკატი აღნიშნავს, რომ იმ მომენტში კლიენტს არ ჰქონია პრეტენზია რაიმე დარღვევის გამო. თუ მას პრეტენზია ჰქონდა, შეეძლო საგამოძიებო მოქმედებისთვის მიემართა. ის ადვოკატი იყო და მოაწერა ხელი დაკავების ოქმს. დაცვის ქვეშ მყოფი პირის დაკავებისას, სამართალდამცავი პირები ადვოკატებს როგორც წესი აძლევენ შესაბამის საბუთებს, რასაც ადვოკატები ხელს აწერენ.“ საპროცესო კოლეგიის განმარტებით, პროკურატურა, სასამართლო მოქმედებს კანონმდებლობის ფარგლებში, ასევე იმ ეთიკური სტანდარტების დაცვით, რაც ამ სისტემის წარმოდგენლებისთვის არსებობს, თუმცა ადვოკატის ჩართულობა მართლმსაჯულების პროცესში არ არის ფორმალური და იგი მისი საქმისათვის მომზადებით, კლიენტთან კომუნიკაციის უნარით, კლიენტის ინტერესების დასაცავად შერჩეული მოქმედებებით უნდა უზრუნველყოფდეს დაცვის უფლების რეალიზაციას როგორც გამოძიების, ასევე სასამართლო განხილვისას. მოცემულ შემთხვევაში, ადვოკატი დაეთანხმა და დაკავების ოქმში შეიტანა ისეთი ინფორმაცია, რაც რეალობას არ შეესაბამებოდა, ამასთან იგი არ უთითებს, რომ დაკავების ოქმზე ხელმოწერამდე კომუნიკაცია ჰქონდა კლიენტთან და პირიქით ფიქრობს, რომ კლიენტს უნდა ეზრუნა სამართლებრივ მოქმედებებზე თუ არ ეთანხმებოდა დაკავების ოქმს. ადვოკატს არ გამოუკვლევია დაკავების ოქმი, კლიენტის პოზიცია და ისე მოაწერა ხელი.

7.11 ადვოკატის პოზიცია, როდესაც ის კონკრეტულად ვერ უთითებს რა შინაარსის რჩევებს აძლევდა კლიენტს, რა საგამოძიებო მოქმედებებში მიიღო მონაწილეობა, რატომ არ შესრულდა უფლებამოსილი პირის გარკვეული მითითებები მასალების მოპოვებასთან დაკავშირებით, რა

მოქმედებები განახორციელა კლიენტის დასაცავად სასამართლო განხილვისას, პასუხისმგებლობის გადატანა კოლეგაზე, რომელიც სასამართლო წარმოებისას ჩაერთო საქმეში მაშინ, ასევე კლიენტის მეუღლეზე, რომელთანაც როგორც ადვოკატი განმარტავს, არ ჰქონდა კარგი ურთიერთობა, მაშინ, როდესაც ადვოკატი ი. კ. დარჩა საქმეში და გააგრძელა კლიენტის დაცვა განაჩენის გამოტანამდე, ადვოკატს პასუხისმგებელ პირად ხდის პროფესიული თვალსაზრისით ე. მ.-ის მიერ მიღებული მომსახურების მიმართ როგორც გამოძიების ეტაპზე, როდესაც ი. კ. გარკვეული პერიოდი დამოუკიდებლად აწარმოებდა საქმეს და ასევე შემდეგ, როდესაც კოლეგასთან ერთად გააგრძელა საქმისწარმოება.

7.12 ადვოკატი ი. კ. დისციპლინური წარმოების პროცესში, წერილობით და ზეპირ პოზიციაშიც, აღნიშნავს, რომ მისი კოლეგის საქმეში ჩართვის შემდეგ მისი მონაწილეობა გახდა ფორმალური და პროცესს ადვოკატი ე. ს. წარმართავდა, თუმცა საქმის მასალებით დგინდება, რომ ადვოკატმა ი. კ.-მა გააგრძელა ე. მ.-ის დაცვა პირველი ინსტანციის სასამართლოში და განაჩენის გამოტანამდე იცავდა კლიენტს. კოლეგია სისხლისსამართლის საქმის შესწავლის შედეგად, არ იზიარებს ადვოკატისგან მიღებულ ინფორმაციას, რომ საქმის სასამართლო წესით განხილვისას მისი მომსახურება მხოლოდ ერეკლე მანგოშვილთან კომუნიკაციით შემოიფარგლებოდა, ვინაიდან ადვოკატს მონაწილეობა აქვს მიღებული გარკვეულ მოქმედებებში: 2019 წლის წლის 13 ივლისს ბრალდებულის სასამართლოში პირველი წარდგენისა და აღკვეთის ღონისძიების გამოყენების განხილვისას, ე. მ.-ის ინტერესებს წარმოადგენდა ადვოკატი ი. კ.; ბრალდებული ე. მ. და ადვოკატი ი. კ. არ დაეთანხმნენ პროკურორის შუამდგომლობას, აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენების შესახებ და მოითხოვეს ბრალდებულს შეფარდებოდა გირაო 10 000 ლარის ოდენობით; სასამართლომ დააკმაყოფილა პროკურორის შუამდგომლობა; 2019 წლის 13 ივლისს ე. მ.-ის მიმართ გამოყენებულ იქნა აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა; 2019 წლის 02 აგვისტოს ადვოკატმა იზა კალატოზიშვიმა მიმართა სასამართლოს შუამდგომლობით დასაშვებად ყოფილიყო ცნობილი სასამართლოში წარსადგენ მტკიცებულებათა ნუსხა, გამოკითხვის ოქმები, წერილობითი მტკიცებულებები და სასამართლოში დასაკითხ პირთა სია, რომელიც დაცვის მხარემ მოიპოვა და გაუცვალა ბრალდების მხარეს. დაცვის მხარემ მოწმის სახით მოითხოვა შემდეგ პირთა დაკითხვა: ე. მ., რ. ბ., კ. კ., ბ. ი., ლ. ც., რ. კ., ლ. ხ. (მთავარი ექსპერტი), ლ. ჯ., დ. ც., ლ. ს., ნ. ლ., შ. კ., დ. ე., დ. ჩ., რ. კ., ა. ქ., ნ. ლ., თ. გ., ნ. ჯ., ე. გ., მ. ბ., ლ. ბ., გ. თ. (უბნის ინსპექტორ-გამომძიებელი), თ. გ. (დნმ-ის ნიმუშის ამღები), ე. ფ.(ექსპერტი- სუნის ნიმუშის ამღები), ს. გ. (ინფორმაციის გამოთხოვის დოკუმენტში), ქ. ხ., ჯ. ბ. (მანქანების გამქირავებელი), გ. ქ. (შპს ---ის დირექტორი), ლ. კ. (ფსიქიკური ჯანმრთელობისა და ნარკომანიის პრევენციის ცენტრის გენერალური დირექტორი), ბ. თ. (მანქანის გამომყვანი პოლიციიდან ხელწერილით), ზ. კ. (პატრულ-ინსპექტორი). შუამდგომლობას ადვოკატმა დაურთო: განცხადება თანდართული მასალებით, სასამართლოში წარსადგენი მტკიცებულებების ნუსხა, გამოკითხვის ოქმები: მოწმე ლ. ბ.-ის გამოკითხვის ოქმი, მოწმე ნ. ლ.-ს გამოკითხვის ოქმი, მოწმე ქ. ხ.-ს გამოკითხვის ოქმი. წერილობითი მტკიცებულებები: მოწმე ლ. ბ.-ის პირადობის მოწმობის ასლი, საპატრულო პოლიციის საჯარიმო ქვითარი, შპს -- პასუხი ე. მ.-ის ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციის ნარკომანიის ჩანაცვლებით სპეციალურ პროგრამაში მკურნალობის შესახებ N102, შპს ფსიქიკური ჯანმრთელობისა და ნარკომანიის პრევენციის ცენტრისადმი განცხადება-მიმართვა, შპს ფსიქიკური ჯანმრთელობისა და ნარკომანიის პრევენციის ცენტრისადმი განცხადება მიმართვაზე,

მოწმე ბ. თ.-ის პირადობის მოწმობის ასლი, მოწმე ნ. ლ.-ს პირადობის მოწმობის ასლი, მოწმე ქ. ხ.ს პირადობის მოწმობის ასლი, საქართველოს ფოსტის გზავნილი - წერილი ჯ. ბ.-სთან, ჯ. ბ.-სთან გაგზავნილი წერილის ასლი, ნ. ლ.-ს განცხადება, სასამართლოში წარსადგენ მტკიცებულებათა ნუსხა, ოქმი შესაძლო მტკიცებულებათა ინფორმაციის გაცვლის შესახებ. ადვოკატმა ი. კ.-მა 2019 წლის 31 ივლისს გამოკითხა ლ. ბ., ნ. ლ., ქ. ხ..

7.13 საქმის მასალების მიხედვით, 2019 წლის 08 აგვისტოს ადვოკატი ე. ს. ჩაერთო ე. მ.-ის სისხლის სამართლის საქმეში დამცველად პირველი ინსტანციის წესით განხილვისას საქმეზე გადაწყვეტილების გამოტანამდე.

7.14 ადვოკატი ი. კ. კოლეგასთან ერთად მონაწილეობდა შემდეგ სასამართლო სხდომებში: 08 აგვისტო - როგორც დავის მხარის მტკიცებულებები, ასევე ბრალდების მხარის მტკიცებულებები დასაშვებად იქნა ცნობილი და დამტკიცდა, როგორც სადავო მტკიცებულებები (თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის მოსამართლე ლ. გ.); 22 აგვისტო, 30 აგვისტო, 08 ოქტომბერი, 28 ოქტომბერი, 12 ნოემბერი, 13 დეკემბერს ადვოკატები არ გამოცხადნენ პროცესზე და სხდომა გადაიდო 27 დეკემბერს, საქმის არსებითი განხილვისას სისხლის სამართლის საქმის მასალებით დგინდება, რომ ი. კ. ადვოკატ ე. ს.-სთან ერთად მონაწილეობს 2019 წლის 27 დეკემბრის სხდომაში თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიაში, 2020 წლის 20 იანვარს, 07 თებერვალს, 21 თებერვალს, 26 თებერვალს, 27 თებერვალს, 04 მარტს. 2020 წლის 4 მარტს ადვოკატმა ე. ს.-მ მიმართა სასამართლოს შუამდგომლობით, რათა ლევან სამხარაულის სახელმწიფო სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროსთვის წარდეგინა სასამართლოს გ. ქ.-ის მიერ წარმოდგენილი რ. ბ.ს საბანკო ამონაწერი დათარიღებული 25.112019 და ასევე ანგარიშიდან ამონაწერი დათარიღებული 25.11.2019 წელი, რათა დადგენილიყო ამ ორ დოკუმენტზე იყო თუ არა ხელმოწერები შესრულებული სალომე ბუცხრიკიძის მიერ. ადვოკატი ი. კ. ასევე მონაწილეობდა 11 მარტის, 20 მარტის, 26 მარტის, 27 მარტის, 01 აპრილის, 03 აპრილის, 07 აპრილის სასამართლო პროცესებში - ადვოკატმა წარმოადგინა დასკვნითი სიტყვაც. სხდომის ოქმებით დგინდება, რომ ადვოკატი ი. კ. ესწრებოდა პროცესებს, თუმცა სხდომების მიმდინარეობაში მისი კოლეგა, ადვოკატი ე. ს. იყო ჩართული.

7.15 2020 წლის 7 აპრილს დადგა განაჩენი ე. მ.-ის მიმართ სსკ-ის 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის ,,ბ“ და მე-4 ნაწილის ,,ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისთვის. განაჩენის თანახმად სასამართლომ არ გაიზიარა დაცვის მხარის პოზიცია ბრალდებულის უდანაშაულობის შესახებ, ვინაიდან გამოკვლეული და არასადაოდ მიჩნეული მასალა შეიცავდა ისეთ მტკიცებულებათა ერთობლიობას, რომელიც საკმარის საფუძველს ქმნიდა მსჯავრდებისთვის. სასამართლომ არ გაიზიარა დაცვის მხარის პოზიცია, რომ გამოძიების ეტაპზე ე. მ.-ის მიმართ ადგილი ჰქონდა იძულებას, რის გამოც მან აღიარა და ითანამშრომლა გამოძიებასთან. საქმის მასალებში არ იყო წარმოდგენილი რაიმე მტკიცებულება, რაც აღნიშნულ ფაქტს დაადასტურებდა, ასევე არ იყო წარმოდგენილი დაცვის მხარის რაიმე განცხადება ან საჩივარი, რომლითაც დადასტურდებოდა იძულების გასაჩივრების ფაქტი. დაცვის მხარის პოზიცია სასამართლომ დაუსაბუთებლად და არადამაჯერებლად მიიჩნია. ერთმანეთთან წინააღმდეგობაში მოვიდა ე. მ.-

ისა და მოწმის ლ. ბ.-ის ჩვენებები, რადგან ბრალდებულმა აღნიშნა, რომ ლ. ბ. მას შემდეგ გაუშვეს სამართალდამცავებმა, რაც ის ექსპერტიზაზე წაიყვანეს, ხოლო ლ. ბ.-მა განმარტა, რომ იგი მაშინ გაათავისუფლეს, როცა მანგოშვილმა აღიარა დანაშაული. საქმეში არსებული საგამოძიებო მოქმედებათა ოქმების სისწორე ხელის მოწერით დაადასტურა ბრალდებულმა ე. მ.-მა და შენიშვნა მათთან დაკავშირებით არ გააჩნდა. განაჩენში ასევე მითითებულია, რომ ე. მ.-ს პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი გარემოებები არ გააჩნდა. შესაბამისად, სისხლის სამართლის საქმის მასალებით ადვოკატის მომსახურების შესწავლითა და ადვოკატის პოზიციის გამოკვლევით, რომელზეც იყო მტკიცების ტვირთი დაედასტურებინა ე. მ.-ისთვის კვალიფიციური მომსახურების გაწევა, წარმოების საპროცესო ეტაპზე კოლეგიას შეექმნა დასაბუთებული ვარაუდი, რომ ადვოკატ ი. კ.-ის მომსახურება არ მოიცავდა კვალიფიციურობისა და კლიენტთან, მის უფლებამოსილ პირთან შეთანხმებულად მუშაობის კომპონენტებს.

7.16 საჩივრის ავტორის პრეტენზია, რომ ადვოკატმა ი. კ.-მა მტკიცებულებების ნაწილი ცნო უდავოდ, რის გამოც ისინი არ გამოკვლეულა და საქართველოს სსსკ-ის 73-ე მუხლის ,,დ“ პუნქტისა, მიენიჭათ პრეიუდიციული ძალა, რაც სასამართლომ აღნიშნა 2020 წლის 7 აპრილის განაჩენში, კომისიამ გამოიკვლია სისხლის სამართლის საქმის მასალების მიხედვით.

7.17 ე. მ.-ის მიმართ გამოტანილი განაჩენის მე-4 გვერდზე მითითებულია, რომ ,,სასამართლო სხდომაზე მტკიცებულებების ნაწილი (შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმი, საგამოძიებო ექსპერიმენტის ოქმი, ამოღების ოქმი, განაჩენები და ყველა სხვა წერილობითი მტკიცებულება) არ გამოკვლეულა, რადგან ისინი მხარეებს არ გაუხდია სადაოდ და მათ თანახმად საქართველოს სსკ-ის 73-ე მუხლის ,,დ“ პუნქტისა, მიენიჭათ პრეიუდიციული ძალა.“

7.18 ე. მ. თავს დამნაშავედ არ ცნობდა და არ იყო დაინტერესებული საპროცესო შეთანხმების გაფორმებით. ამ დროს ადვოკატის ვალდებულებაა სადაოდ გახადოს ბრალდების მხარის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები, მოითხოვოს ყველა მტკიცებულების არსებითად გამოკვლევა. ადვოკატი ვალდებულია კლიენტს მისცეს საშუალება თავის გამართლებისათვის. როცა ადვოკატი ბრალდების მხარის ყველა მტკიცებულებას უდაოდ ხდის, უსპობს ბრალდებულს ყველანაირ საშუალებას, რომ მისი პოზიცია დაასაბუთოს.

7.19 ადვოკატი ი. კ. კოლეგასთან ერთად მონაწილეობდა 08 აგვისტოს სასამართლო სხდომაში, რომელზეც როგორც დაცვის მხარის მტკიცებულებები, ასევე ბრალდების მხარის მტკიცებულებები დასაშვებად იქნა ცნობილი და დამტკიცდა, როგორც სადავო მტკიცებულებები (თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის მოსამართლე ლ. გ.). სადავო მტკიცებულებათა უდავოობის თაობაზე მსჯელობა წამოიჭრა 27 თებერვლის სასამართლო სხდომაზე, სადაც მხარეები განიხილავდნენ დასაკითხ მოწმეთა წარმოდგენის საჭიროების საკითხს და ამ საკითხზე მსჯელობაში ჩართული იყო დაცვის მხარის ადვოკატის სახით ე. ს., ი. კ. ესწრებოდა პროცესს, თუმცა საკითხის განხილვაში არ ჩართულა. აღნიშნულ სხდომაზე მოსამართლე ლია ორკოდაშვილმა შესთავაზა მხარეებს მტკიცებულებათა უდავოდ ცნობა ან მოწმეთა მოხსნა. მოწმეებზე შეთანხმების შემდეგ სასამართლო გადავიდა წერილობითი მტკიცებულებების გამოკვლევის საკითხზე, რა დროსაც მოსამართლემ განმარტა, რომ ხშირად მხარეებს მისთვის უთქვამთ, რომ მისი კოლეგები სხვანაირად განმარტავენ წერილობით

მტკიცებულებათა უდავოობას. თავადაც უნახავს, რომ მისი კოლეგები სხვანაირად ხსნიან და იგი არ ეთანხმება კოლეგებს, ვინაიდან უდავოობა არ ნიშანავს, რომ მხარე დოკუმენტის შინაარსს ეთანხმება. მოსამართლემ მაგალითად მოიყვანა განაჩენი და განმარტა, რომ განაჩენს შეიძლება მხარეები არ ეთანხმებოდნენ, მაგრამ არ იკვლევდნენ, რადგან პრეიუდიციაა. მაგალითად, მიმდინარე საქმეში არსებულ დოკუმენტს თუ დაეთანხმა დაცვის მხარე, ეს არ ნიშნავს, რომ იგი შინაარსს ეთანხმება, არამედ ეთანხმება იმას, რომ ეს დოკუმენტი ამ სახით არსებობს. მოსამართლის განმარტებით, მას არაერთი შემთხვევა ჰქონია, როდესაც უდავო მტკიცებულებებზე კვალიფიკაცია შეუცვლია, ვინაიდან მხარეს დოკუმენტისთვის სწორი სამართლებრივი შეფასება მიუცია. მოსამართლის შეფასებით, კანონმდებლობაშიც ცვლილებაა შესატანი, ვინაიდან ორივე მხარე საქმეს იცნობს, მოსამართლეც იცნობს საქმეს და პროცესზე მოსამართლე კითხულობს დოკუმენტებს, რომელიც ყველასთვის ნაცნობია. მოსამართლის განმარტებით, მთავარია წერილობითი დოკუმენტები მხარეებმა შეაფასონ, მისცენ სწორი სამართლებრივი შეფასება ჯერ მხარეებმა და შემდეგ მოსამართლემ. მოსამართლემ აღნიშნა, რომ ბევრ საქმეს იხილავს ამ მიდგომით და ვინაიდან მხარეებს, ვისაც მის პროცესებში მიუღია მონაწილეობა, აქვთ ეს ინფორმაცია, ბევრ მტკიცებულებას უხდიან უდავოდ და ხელს უწყობენ საქმის ეკონომიურად განხილვას.

7.20 მოსამართლის განმარტების შემდეგ, ადვოკატმა ე. ს.-მ კვლავ მხარი დაუჭირა ყველა წერილობითი მტკიცებულების სადავოობას, ადვოკატი ი. კ. დისკუსიაში არ ჩართულა. შესაბამისად, კოლეგია არ იზიარებს საჩივრის ავტორის პოზიციას იმის თაობაზე, რომ ადვოკატ ი. კ.-ის, როგორც დაცვის მხარის მიერ მოხდა წერილობითი მტკიცებულებების ნაწილის, როგორც განაჩენშია მითითებული (შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმი, საგამოძიებო ექსპერიმენტის ოქმი, ამოღების ოქმი, განაჩენები და ყველა სხვა წერილობითი მტკიცებულება) უდავოდ ცნობა. სხვა მიზეზების კვლევა, თუ რამ გამოიწვია განაჩენში მითითება, რომ მხარეებმა უდავოდ ცნეს გარკვეული წერილობითი მტკიცებულებები და მათი გამოკვლევა სასამართლოს მიერ არ მომხდარა, ეთიკის კომისიის კომპეტენციას ცდება.

7.21 ვინაიდან ადვოკატმა ი. კ.-მა ხელი მოაწერა კლიენტის, ე. მ.-ის, დაკავების ოქმს ისე, რომ აღნიშნულ საკითხზე არ მიუღია კლიენტს კონსულტაცია, ადვოკატი არ დასწრებია მის დაკავებას და ოქმის შედგენას, თუმცა დააფიქსირა ოქმზე ხელმოწერისას, რომ ესწრებოდა მოცემულ საგამოძიებო მოქმედებას; ვინაიდან ადვოკატს მიაჩნია, რომ ადვოკატები, როგორც წესი, ხელს აწერენ იმ დოკუმენტაციას, რასაც გამოძიების მწარმოებელი პირები წარუდგენენ და თუ ე. მ. არ ეთანხმებოდა დაკავების ოქმში შეტანილ ინფორმაციას, შეეძლო მიემართა შესაბამისი საგამოძიებო მოქმედებისთვის; ადვოკატის დამოკიდებულებიდან გამომდინარე კლიენტის დაცვის პროცესში მისი როლისა და ადვოკატსა და კლიენტს შორის საქმისწარმოების საკითხების განაწილების მიმართ, კერძოდ, ვინაიდან ადვოკატი არ უთითებს კლიენტის ინტერესების გათვალისწინებით დაცვის როგორი სტრატეგია შეარჩია, რა მოქმედებები განახორციელა კლიენტის საქმეზე ან როგორ შეაფასა მასთან კომუნიკაციისას კლიენტთან შესასრულებელი მოქმედებების სავარაუდო შედეგები, რადგან ადვოკატის შეფასებით გადაწყვეტილებას სასამართლო იღებს და საქმეზე შედეგი მოსამართლის გადაწყვეტილებაზეა დამოკიდებული და სხვადასხვა შესაძლო შედეგზე კლიენტს კონსულტაციას ვერ გაუწევს; ვინაიდან ადვოკატი

საქმისწარმოებაში მისი ჩართულობის პარალელურად ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ ე. მ. მანამდეც ყოფილა ნასამართლევი და გარკვეული გამოცდილება ჰქონია სისხლის სამართალწარმოებაში; ადვოკატი უთითებს, რომ ახალი ადვოკატის ჩართვის შემდეგ მისი მონაწილეობა გახდა ფორმალური, ის საქმეში დარჩენით დაეთანხმა ამ ფორმალურ როლს და მისი მომსახურება ძირითადად კლიენტთან კომუნიკაციაში გამოიხატა მისი მსგავს საქმეებზე მუშაობის გამოცდილების ნაკლებობის გამო, კოლეგიას უქმნის დასაბუთებულ ვარაუდს, რომ ადვოკატმა ირაკლი მანგოშვილის დაცვისას არ გამოიყენა სისხლის სამართლის კანონმდებლობით გათვალისწინებული საშუალებები იმისთვის, რომ კლიენტს მიეღო კვალიფიციური საადვოკატო მომსახურება.

7.22 სისხლის სამართლის საქმის მასალებით დადგინდა და მოწმე ე. ს.-მაც დაადასტურა, რომ ადვოკატი ი. კ. არსებითად ახორციელებდა საქმეზე საადვოკატო საქმიანობას და მისი ჩართულობა საქმეში არ ყოფილა ფორმალური. ადვოკატმა წარმოების ყველა ეტაპზე მიიღო მონაწილეობა პირველი ინსტანციის სასამართლოში განხილვის დასრულებამდე. შესაბამისად, ადვოკატს ჰქონდა ვალდებულება ეზრუნა კლიენტისთვის მომსახურების კვალიფიციურად გაწევაზე, რადგან მიიღო გადაწყვეტილებაში საქმეში დარჩენის და მომსახურების გაგრძელების. განხილვის კოლეგიის შეფასებით სადავო ქცევის სტანადრტებიდან გამომდინარე მტკიცების ტვირთი, რომ ადვოკატი მოქმედებდა კლიენტის, ე. მ.-ის კანონიერი მითითებებით, მასთან შეთანხმებით და მის დასაცავად ყველა კანონიერ საშუალებებს იყენებდა, არის ადვოკატის მხარეს. ადვოკატმა განხილვის ეტაპზე საქმის არსებით ზეპირ განხილვაში მონაწილეობა არ მიიღო და წარმოადგინა წერილობითი განმარტებები, ასევე დააყენა მოწმის - ადვოკატ ე. ს.-ის გამოკითხვისა და ე. მ.-ის სასჯელაღსრულების დაწესებულებიდან სხდომაში დისტანციურად ჩართვის შუამდგომლობა, რაც დაკმაყოფილდა. განხილვის კოლეგიამ ადვოკატი უზრუნველყო ინტერესების დასაცავად საპროცესო შესაძლებლობებით გამოეკითხა უშუალოდ კლიენტი, გამოეკითხა მოწმე, წარმოედგინა ზეპირად პოზიცია, რითიც მან არ ისარგებლა. აღნიშნულის საპირწონედ წარმოდგენილი ე. მ.-ისთვის განკუთვნილი კითხვრი განხილვის კოლეგიის შეფასებით უფრო მეტად დაეთმო ქ. ხ.-სა და ი. კ.-ის ურთიერთობის შესახებ კლიენტის ინფორმირებულობის შემოწმებას, ვიდრე იმ მიზანს, რის გამოც ადვოკატმა დააყენა მოცემული კითხვარის ყოფილი კლიენტისთვის გაგზავნის შუამდგომლობა - მიეღო მისგან თანხმობა გარკვეული ინფორმაციის საკუთარი ინტერესების დასაცავად გამოსაყენებლად. განხილვის კოლეგია განმარტავს, რომ ქ. ხ.-ს, როგორც საადვოკატო მომსახურების მხარისა და ადვოკატ ი. კ.-ის ურთიერთობის შეფასება საჩივარში დაყენებული პრეტენზიებიდან გამომდინარე ვერ გახდება კოლეგიის განხილვის საგანი. ადვოკატს კონკრეტული პრეტენზიების მიმართ უნდა წარმოედგინა კონკრეტული არგუმენტები, რომ მისი პოზიციის თაობაზე კომისიას სრული ინფორმაცია მიეღო, რაც დაეხმარებოდა ობიექტური გადაწყვეტილების მიღებაში. კონკრეტულ სადავო საკითხებს ვერ პასუხობს ვერც ადვოკატ ი. კ.-ის 2021 წლის 18 ივლისის განმარტება.

7.23 ეთიკის კომისიის გადაწყვეტილებით, ადვოკატ ი. კ.-ის მიერ, მის მიერ ჩადენილი გადაცდომისათვის უნდა განესაზღვროს დისციპლინური სახდელი - გაფრთხილება.

7.24 ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის 34-ე მუხლი განსაზღვრავს დისციპლინური სახდელის სახეებსა და ზემოქმედების ღონისძიების ფორმებს, რომელიც შესაძლოა ადვოკატს დაეკისროს

დისციპლინური გადაცდომის ჩადენის შემთხვევაში. ეს სახდელებია გაფრთხილება, საადვოკატო საქმიანობის უფლების შეჩერება და საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრობის შეწყვეტა, ხოლო ზემოქმედების ღონისძიებას წარმოადგენს კერძო სარეკომენდაციო ბარათით მიმართვა.

7.25 ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ დებულების 2(5) მუხლი პირდაპირ უთითებს, რომ ადვოკატისთვის დისციპლინური სახდელის დაკისრებისას გათვალისწინებული უნდა იქნას დისციპლინური გადაცდომის სიმძიმე და მიყენებული ზიანი. „განხილვის კოლეგია განმარტავს, რომ მოცემულ შემთხვევაში, ეთიკის კოდექსის მიზნებიდან გამომიდინარე, საუბარია ადვოკატის პროფესიისათვის მიყენებული ზიანის განსაზღვრაზე. თუმცა ეს არ გამორიცხავს კლიენტისათვის მიყენებული ზიანის გათვალისწინების შესაძლებლობასაც“ (ეთიკის კომისიის 2018 წლის 31 მაისის გადაწყვეტილება, საქმე N098/17).

7.26 ეთიკის კომისია განმარტავს, რომ მნიშვნელოვანია ადოკატისათვის განსაზღვრული დისციპლინური პასუხისმგებლობის ფორმა იყოს ადვოკატის მიერ ჩადენილი გადაცდომის პროპორციული. ამისათვის, ეთიკის კომისია ითვალისწინებს ადვოკატის მიერ ჩადენილი გადაცდომის სიმძიმეს, ადვოკატის მიერ პროფესიისადმი მიყენებულ ზიანს, კლიენტისთვის მიყენებულ ზიანს, სხვა საქმეებზე ადვოკატისათვის დაკისრებული დისციპლინური პასუხისმგებლობის ფორმას, ზომას, კერძო სარეკომენდაციო ბარათის განსაზღვრის შემთხვევაში, ადვოკატის მხრიდან ამ ბარათით განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულებას, ადვოკატის პიროვნებას, ადვოკატის მიერ ჩადენილი გადაცდომის აღქმას და სხვა შემამსუბუქებელ თუ დამამძიმებელ გარემოებებს, „რაც სახდელის ინდივიდუალიზაციის პრინციპის გატარების აუცილებელი პირობათაგანია“ (საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატის გადაწყვეტილება, საქმე #დს-შ/3-17, 22.05.2017).

7.27 „ადვოკატის მიერ ჩადენილ დისციპლინურ გადაცდომასთან შეფარდებული სახდელის პროპორციულობის განხილვისას ეთიკის კომისიამ უნდა გაითვალისწინოს ადვოკატის მიერ ჩადენილი გადაცდომის სახე, სიმძიმე, პროფესიისათვის მიყენებული ზიანი, კლიენტისათვის მიყენებული ზიანი, ადვოკატის პიროვნება, მისი რეპუტაცია, ადვოკატის მიერ ადრე ჩადენილი გადაცდომები, რომლებიც არ არის გაქარწყლებული, ადვოკატის დამოკიდებულება ჩადენილი ქმედების მიმართ, არაეთიკური ქცევის თაობაზე ადვოკატის ადეკვატური აღქმა და სხვა გარემოებები, რომელიც მნიშვნელოვანია ეთიკის კოდექსის ძირითადი მიზნის მისაღწევად“ (ეთიკის კომისიის 2018 წლის 31 მაისის გადაწყვეტილება, საქმე N098/17).

7.28 „ადვოკატის დისციპლინირების მიზანი არის არა მისი დასჯა, არამედ ადვოკატის მიერ დისციპლინური გადაცდომის პრევენცია, საზოგადოების დაცვა ადვოკატის არაეთიკური ქცევისაგან და პროფესიული ღირებულებების დაცვა, რაც საბოლოო ჯამში ემსახურება 15 საზოგადოებაში ადვოკატის პროფესიისადმი მაღალი ნდობის დამკვიდრებას“ (ეთიკის კომისიის 2018 წლის 31 მაისის გადაწყვეტილება, საქმე N098/17).

7.29 ეთიკის კომისია ითვალისწინებს გარემოებას, რომ ადვოკატ ი. კ.-ს არ აქვს გათვითცნობიერებული მის მიერ ჩადენილი დისციპლინური გადაცდომა, რისი მართებული აღქმაც მომავალში მოახდენდა მსგავსი გადაცდომების პრევენციას. ამასთან, ეთიკის კომისია ასევე ითვალისწინებს,

ადვოკატის პროფესიისადმი მიყენებულ ზიანს. შედეგად, კომისია აღნიშნავს, რომ ადვოკატისათვის დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიებით - კერძო სარეკომენდაციო ბარათით მიმართვა ქმედითი ვერ იქნება. თუმცა, ამავდროულად, ადვოკატისათვის სახდელის სახით გაფრთხილების შეფარდებისას, ეთიკის კომისია ითვალისწინებს გარემოებას, რომ ადვოკატ ი. კ.-ს, გადაწყვეტილების გამოტანის მომენტისათვის, არ აქვს შეფარდებული სხვა დისციპლინური სახდელი. შესაბამისად, ეთიკის კომისია განმარტავს, რომ ადვოკატ ი. კ.-ისთვის საადვოკატო საქმიანობის უფლების შეჩერება ან საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრობის შეწყვეტა, მოცემული დისციპლინური საქმის ფარგლებში, მის მიერ ჩადენილ გადაცდომასთან ზედმეტად მკაცრი და არაპროპორციული სახდელია.

7.30 ეთიკის კომისიამ იხელმძღვანელა პასუხისმგებლობის პროპორციულობის, სამართლიანობისა და კანონიერების პრინციპით და დისციპლინური სახდელის სახით განისაზღვრა - გაფრთხილება.

III სარეზოლუციო ნაწილი

განხილვის კოლეგიამ იხელმძღვანელა ადვოკატთა შესახებ კანონის 28.14 მუხლით, ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების 3.2, 5.7, 19, 20, 40-ე მუხლის მეორე პუნქტით და საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის სახელით გადაწყვიტა:

1. დისციპლინურ საქმეზე №036/20 ადვოკატ ი. კ.-ის მიმართ /სიითი N/ დისციპლინური პასუხისმგებლობის ფორმად განისაზღვროს გაფრთხილება.
2. გადაწყვეტილების ასლი გაეგზავნოს მხარეებს.
3. ადვოკატ ი. კ.-ს უფლება აქვს ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება გაასაჩივროს საქართველოს უზენაეს სასამართლოში ეთიკის კომისიაში საჩივრის შემოტანის გზით, დასაბუთებული გადაწყვეტილების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში.

კოლეგიის თავმჯდომარე: /ქეთევან უტიაშვილი/

კოლეგიის წევრი: /თორნიკე ბაქრაძე/

კოლეგიის წევრი: /კონსტანტინე გელაშვილი/